ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 4 სექტემბერი 2002 №166 (1688) | ფასი 50 თეთრი

# სექტემბერი ლოდინისთვე

## ჩივაძე ელის ჯანაშიას და იაშვილს

## ხალხი — გადაჩვეულს: გამარჯვებას



ალექსანდრე ჩივაძე

სექტემბერი ის თვეა, ბოლო წლების სამწუხარო ტრადიციის მიხედვით ქართული კლუბები უეფას თასის გათამაშებას რომ ემშვიდობებიან. ბოლოს 1999 წლის სექტემბერს ითამაშეს „ლოკომოტივმა“ და „ტორპედომ“ და ჯობდა, არ ეთამაშათ — ბერძნულ პაოკ-თან და აეკ-თან ჯამში 1:16 დამარცხდნენ. ჩვენებურ კლუბებს საშემოდგომო ჩემპიონთა ლიგაში რომ არაფერი ესაქმებათ, ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია. მოკლედ, ზაფხულის მერე მხოლოდ სანაკრებო მატჩებიღა გვრჩებოდა და ესეც მუდმივი გაწბილების თანხლებით.

და აი, ისევ სექტემბერია, საქართველოს ნაკრები ახალ შესარჩევ ტურნირში ებმება, უეფას თასზე კი „დინამო“ გვყავს.

გერმანულ რუიტში შეკრებილი ეროვნული გუნდის ახალი ამბები გუშინ იქვე მყოფი ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიასგან შევიტყვეთ.

ალექსანდრე რეხვიაშვილი თანაგუნდელებს უკვე შეუერთდა, ჯერ არ უვარჯიშია, მაგრამ ყოჩაღად გამოიყურება. ალექსანდრე იაშვილს წუხელ გვიანობისას ელოდნენ, თუმცა მისი მზადყოფნის თაობაზე ვერაფერს ამბობენ, ისევე როგორც ზაზა ჯანაშიას სავიზო პრობლემის მოგვარებაზე.

„დინამომ“ კი, რომელსაც ნაკრებში რვა ფეხბურთელი ჰყავს გაშვებული, გუშინ პრესკონფერენცია გამართა. თითქმის დაუჯერებელი ამბავი გვითხრეს: წილისყრის მერე ლიბერეცელები „დინამოს“ მეტოქეობით უკმაყოფილონი დარჩნენ, ძველი „დინამო“ ახსოვთ და რიდი აქვთო. არადა, ჩეხეთის ჩემპიონმა ჩემპიონთა ლიგიდან ლამის „მილანი“ დაიფრინა. კარგია, ძველი „დინამო“ რომ ახსოვთ, უკეთესი კი ის იქნება, რიდი ახლანდელი დაპირისპირების მერეც თუ დარჩებათ.



ზაზა ჯანაშია

# რა გიხარიათ?!

## ვინუს უილიამსმა პრესას სენსაცია წაართვა

US OPEN



REUTERS ნიუ იორკიდან

ვინუს უილიამსი

მთლად „უიმბლდონის“ დარად არა და, მუხთალი ავდრისგან საფუძვლიანად დამბალმა „ფლეშინგ მედოუზმა“ მაინც შეძლო, შემორჩენილ-გადმოტანილი დიდძალი მატჩებისთვის და ტურნირს შემორჩენილ ჩოგბურთელთა ჯგერაც დიდი ჯგუფისთვის მოზრდილი წილი ჩამოეჭრა.

ნიუ იორკისთვის ხელდაქნეულთა შორის ბევრი ბობოლაა, რომელთაგან თუნდ სულ რამდენიმე საათის წინ გავარდნილი მარტინა ჰინგისის მოხსენიებაც კმარა. ამერიკის ღია პირველობის 1997 წლის მომგები და ყოფილი პირველი ჩოგანი „არტურ ეშის“ კორტის ასევე ძველმა, 1991-92 წლებში დამყრობმა და ოდინდელმა პირველჩოგანმა მონიკა სელეშმა გააგდო.

ძველ მატრიარქთა ოხვრა-კვნესიან მატჩზე არანაკლები გულისყური მიიპყრო „ფლეშინგ მედოუზის“ აწინდელი ჩემპიონის მცირე თავგადასავალმა. ტურნირს შარშან და შარშანწინ მიჯრით მომგებმა ვინუს უილიამსმა ჩანდა რუბინს ერთფეროვან (ჩანდაც ვინუსის ფერია) და სამსეტიან მატჩში სძლია და მეოთხედფინალში სწორედ სელეშს შეეტოქება. ვინუსის გამარჯვებას ასე არ გავამუქებდით, უფროს გოლიათ შავდას მომცრო ჩანდასთან შეხვედრის მეორე სეტი რომ არ წაეგო. ბოლო ორი წელია, ვინუსი სეტის წაუგებლად იგებს ღიაამერიკულ თამაშებს და ახლა მეტოქემ 1:1 რომ გაუხადა, მეტიამ ყოჟინა დასცა, იქნებ ჩემპიონის მარცხი ვიხილოთო, მაგრამ უილიამსმა ყველა ესენი მიაჩუმა, გადამწყვეტი სეტი 7:5 მოიგო და ,ავისმოსურნეთ ნიშნი მოუგო.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



გივი ნოდია



გია ფირცხალავა

# დინამოს სახელი მუშაობს
## თბილისელები ლიბერეცს ტრიბუნაზე ჩამოუსხდებიან

**გუშინ** დილმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის „დინამომ" პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებს კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა გია ფირცხალავამ, სპორტულმა დირექტორმა გივი ნოდიამ და ფეხბურთელმა ალექსანდრე გოგობერიშვილმა გვიმასპინძლეს. მათ „დინამოსთვის" აქტუალურ თემებზე ისაუბრეს. ძირითადი საკითხი კი უეფას თასის პირველ ეტაპზე ჩეხურ „ლიბერეცთან" დაპირისპირება იყო.

**გია ფირცხალავა:** მონაკოში წილისყრის შემდეგ ევროპის საკლუბო ფორუმის მუშაობაში მივიღე მონაწილეობა. ამ ფორუმში ევროპის ყველა წამყვანი კლუბი შედის, საქართველოდან კი ეს პატივი თბილისის „დინამოს" ხვდა წილად. ძირითადი საკითხი უეფას თასის გათამაშების ფორმატის შეცვლა იყო. უეფამ თავად შემოგვთავაზა ახალი ვარიანტი, რომელმაც ფორუმის მონაწილე კლუბთა უმრავლესობის მოწონება დაიმსახურა. უეფა ყველანაირად ცდილობს, ამ თასის გათამაშების პრესტიჟი აამაღლოს. წინასწარი მონახაზით, მომავალ სეზონში უეფას თასზე 80 გუნდი დაწყვილდება, საუკეთესო ორმოცეული კი რვა ხუთგუნდიან ჯგუფში განაწილდება. პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები შემდეგ წილისყრით დაწყვილდებიან და მერვედფინალში ითამაშებენ. შემდეგ მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და ფინალი.

ვფიქრობ, ეს საკმაოდ მომგებიანი და საინტერესო ვარიანტია. ასევე განსაჯეს სხვა კლუბებმაც, თუმც ფორმატი ჯერაც დასახვეწია. ამას კი საკლუბო ფორუმის მომავალ ყრილობებზე გადავწყვეტთ.

–უეფას კონსულტაციები ჰქონდა ევროპის წამყვანი ლიგების თავკაცებთან, ცნობილ მწვრთნელებთან და მარკეტინგულ ფირმებთან. შეთანხმებები თითქმის ყველასთან მიღწეულია.

–უეფა დიდ ყურადღებას უთმობს სატელევიზიო უფლებების განაწილებასაც. უეფას სურს, სატელევიზიო უფლებების ცენტრალიზაცია მოახდინოს ანუ ჯგუფში მოხვედრილი გუნდების სატელევიზიო შემოსავლებზე თავად უეფა იზრუნებს. ეს ჩვენისთანა კლუბებისთვის ერთობ მომგებიანი წინადადებაა...

–უეფას თასის წილისყრის შემდეგ „ლიბერეცის" წარმომადგენლებს შევხვდი. სახეებზე წილისყრის შედეგებით კმაყოფილება მაინცდამაინც ვერ შევამჩნიე. როგორც ჩანს, ევროპაში ჯერაც დიდ პატივს სცემენ თბილისის „დინამოს". ამას კი შენარჩუნება უნდა. ვფიქრობ, ბიჭები თავს არ დაზოგავენ და „ლიბერეცს" არაფერს დაუთმობენ.

**გივი ნოდია:** „ლიბერეცის" ძალა ყველას კარგად მოგეხსენებათ. ამ გუნდმა წინა სეზონში ჩეხეთის ჩემპიონობა მოიპოვა და წლეულს იტალიურ „მილანთანაც" ძალიან ძლიერად ითამაშა. ასე რომ, ერთობ სერიოზული მეტოქე გვყავს.

–ტალინში ტვმკ-სთან სათამაშოდ ჩარტერული რეისით გავემგზავრეთ. „ლიბერეცთან" კი, ალბათ, ასე არ მოხდება. „დინამო" პრაღაში 16 სექტემბერს გაფრინდება. ამავე დღეს ჩემპიონატის ტურში „ლიბერეცი" შინ „იაბლონეცს" ეთამაშება და ბიჭებს ამ მატჩის ნახვის საშუალებაც ექნებათ. მანამდე კი ივო შუშაკი „მილან" — „ლიბერეცის" ორივე მატჩის კასეტებს ჩამოიტანს.

–საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში შვეიცარიასთან სათამაშოდ რვა დინამოელი გვყავს გაშვებული, დანარჩენები კი ჩვეულად ვარჯიშობენ. შვეიცარიაში მატჩებზე დასწრება ივო შუშაკსაც სურდა. ჩვენც შევთავაზეთ მას, შვეიცარიაში პირდაპირ ჩეხეთიდან ჩასულიყო, თუმც აქ დაბრუნება გადაწყვიტა.

–საქართველოს ნაკრების მატჩი, მოგეხსენებათ, 8 სექტემბერს ჩატარდება. „დინამოს" კი 11-ში ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრა ელის, ამიტომ ჩვენი სურვილია, ტური ერთი დღით გადაგვიტანონ. ბიჭებს ცოტა დასვენების საშუალებაც ექნებათ.

–„ლიბერეცს" ჩვენი მეტოქეობა არ ესიამოვნა, თუმც თბილისის „დინამოს" სახელსა და ტრადიციებს გამყარება უნდა. ჩეხების მთავარი პლუსი ათლეტიზმი და დისციპლინაა, თუმც იმედი მაქვს, „დინამო" თავს არ შეირცხვენს.

–ამ მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებით. ბიჭები ფიზიკურად კარგად გრძნობენ თავს. საბედნიეროდ, ტრავმებიც არავის აწუხებს. ასე რომ, საბრძოლველად მზად ვართ. „ლიბერეცი" იოლად ვერაფერს წაიღებს.

–დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ იმას, რომ პირველ მატჩს სტუმრად გავმართავთ. დღევანდელ ფეხბურთში ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

**ალექსანდრე გოგობერიშვილი:** ვერ ვიტყვი, რომ წილისყრამდე რაიმეს შიში გვქონდა. „ლიბერეცი" რომ შეგვხვდა, დიდად არც ეს გაგვკვირვებია. ამ ეტაპზე ასეთ ძლიერ მეტოქეს ველოდით კიდეც. ამისთვის ფსიქოლოგიურად მზად ვიყავით. „ლიბერეცი" ძალიან სერიოზული გუნდია, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. გავალთ მოედანზე და თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა შემდეგ ეტაპზე გავიდეთ.

–ლადო ბურდული ჩვენთვის ძალიან დიდი ძალაა. სასიხარულოა, რომ მან დისკვალიფიკაცია მოიხადა და ამ რთულ მატჩებში დაგვეხმარება.

**ქახა ზალამბერიძე**

# ავჭალა სასამართლოს კარზე
## ფოცხვერია თავისუფალია, დევაძეს ეშველება?!

**თბილისური „მერანისა"** და მისი რუსი მეპატრონეების „შეხმატკბილებულ" ურთიერთობებზე ბევრჯერ დაგვიწერია. ავჭალელთა უფულოდ დამგდებმა უცხოელებმა დიდი დავა-კამათისა და გაწევ-გამოწევის შემდეგ გუნდი დატოვეს. აქაურ თავკაცთა შეცდომა ის იყო, რომ რუსებს სიტყვაზე ენდნენ და საქართველოდან ოფიციალურ ხელშეკრულებაზე ხელმოუწერლად გაუშვეს. შეცდომის არასასურველ შედეგს „მერანი" და მისი დღევანდელი მფარველი ანზორ მამალაძე ახლა იმკიან.

აკაკი დევაძე, მიხეილ ფოცხვერია და რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი ყოფილი „გოლეადორიდან" — აი, რას მოითხოვდა იური სევასტიანოვი კლუბის დოკუმენტაციის სანაცვლოდ. რუსებმა დევაძე ებრაელებისგან გამოისყიდეს, ფოცხვერია, მათივე მტკიცებით, „მახტარისგან" დაიხსნეს, ხოლო „გოლეადორს" იმდენი ფული დაახარჯეს, რომ „მერანს" რამდენიმე სეზონის მანძილზე იმ თანხით არაფერი გაუჭირდებოდა.

მამალაძეც წაყენებულ მოთხოვნას დაჰყაბულდა, მაგრამ სევასტიანოვმა პირი უტეხა. რამდენიმე თვეა, „მერანის" პრეზიდენტი კლუბის ოფიციალურ დოკუმენტაციას ელის, მაგრამ რუსი დუმს.

— სევასტიანოვს ყველაფერი ხელიდან გამოეცლება, ხვალ-ზეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას ვაპირებ და რასაც ნებით არ თმობს, იმას კანონის ძალით წავართმევ.

„მერანის" თავკაცს სხვა გზა არც დარჩენია. მწვრთნელ-ფეხბურთელებს, სტადიონის და გუნდის ტექნიკურ პერსონალს გაწეული შრომის საფასური ხომ უნდა აუნაზღაუროს.

სევასტიანოვმა ფოცხვერია ფაქტობრივად დაკარგა. ჯერაც უცნობია, რა გზებით, მაგრამ მიშამ მისგან თავის დახსნა მოახერხა. ეროვნული გუნდის ყოფილი ფეხბურთელი თავისუფალი აგენტია. ფოცხვერიას ერთადერთი პრობლემა ახლა ის ავადსახსენებელი მარჯვენა მუხლია, რომლის მორჩენასაც რა ხანია, საშველი არ დაადგა.

მიშა თითქოს ჩემპიონ „ტორპედოს" სურდა. საჩემპიონატო განაცხადშიც კი წარადგინეს რიონისპირელებმა და ფოცხვერიაც ქუთაისში ჩამოვიდა, თუმცავარჯიშებზე კოჭლობდა, მუხლი ბოლომდე არ მოშუშებულიყო და ფოცხვერიაც უკან გაბრუნდა. ტრავმა მოირჩინე და შენთვის ჩემი გუნდის კარი ღია იქნებაო, დაიმედა ალექსანდრ შტელინმა განაწამები ფეხბურთელი.

აკაკი დევაძე „მერანიდან" თავად სევასტიანოვმა დაითხოვა. თებერვალში, როცა ავჭალელთა რუსი და ქართველი თავკაცები თბილისში ურთიერთობებს არკვევდნენ, კაკოც მაშინ დააყენეს ტრანსფერზე. მერე და მერე სევასტიანოვმა დევაძეს 70 ათასი დოლარი მოსთხოვა, ფული გადამიხადე და ოთხივე მხარეს გზა ხსნილი გექნებაო.

მართალია, დევაძე ებრაელებისგან სევასტიანოვმა და მისმა „სამეგობრომ" დაიხსნეს, მაგრამ მას აქეთ წლები გავიდა. კაკოს კონტრაქტი თებერვალშივე დაუმთავრდა, არც ხელფასი მიუღია რა ხანია და საქმის მცოდნე კაცი მის ხელშეკრულებაში სხვა დარღვევებსაც აღმოაჩენს. ასე მივიდა ეს ამბავი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სატრანსფერო კომიტეტამდე. გარკვეულ მოსაზრებებს თუ ვერწმუნებით, მაშინ სულ მალე დევაძე თავისუფალი აგენტი გახდება. ესე იგი, სევასტიანოვმა ფაქტობრივად ისიც დაკარგა.

რაც შეეხება ყოფილი „გოლეადორის" იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სევასტიანოვს და ჩერქეზოვს ლუჟნიკში ჰყავთ და გუნდიდან გუნდში დაატარებენ, ერთხელაც მოსწყინდებათ იმ ბიჭების მშობლებს გაუთავებელი ლოდინი, რუსის გაზრდილი მადაც გაალიზიანებთ და თავიანთ ნიჭიერ შვილებს უკანვე დაიბრუნებენ.

ამ ხნის მანძილზე „მერანმა" ბევრი რამ რომ დაკარგა, ფაქტია. კიდევ რა მოელით ავჭალელებს, ძნელად სავარაუდოა, თუმც საბოლოოდ ვინ დარჩება წაგებული, ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს.

**გამუქა ქვანტალიანი**



REUTERS

მანჩესტერი — მიდლსბრო. დევიდ ბექჰემი რუუდ ვან ნისტელროის გოლით კი გაიხარა, მაგრამ თავად დაშავდა, რის გამოც ამ უქმეებზე პორტუგალიასთან ამხანაგურ მატჩს გამოტოვებს

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# შვეიცარია გამზადდა
## კუნმა კანტალუპი დაიმატა

**შვეიცარიის** ეროვნული გუნდის მწვრთნელმა იაკობ კუნმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც 8 სექტემბერს ბაზელში, წმინდა იაკობის სახელობის სტადიონზე, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ სადებიუტო მატჩში საქართველოს ნაკრების დამარცხებას შეეცდებიან.

იაკობ კუნმა თავდამსხმელ ბლეიზი ნკუფოს ნაცვლად ასევე ფორვარდი, სერვეტელი ლეონარდ ტურე რომ მიიწვია ნაკრებში, ეს უკვე გამცნეთ.

გუშინ მწვრთნელმა კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიგულა — 28 წლის ნახევარმცველი მარიო კანტალუპი ჩემპიონ „ბაზელის" ღირსებას იცავს, შვეიცარიის ნაკრების მაისურა აქამდე 16-ჯერ მოურგია და ორი გოლიც გაუტანია. სხვათა შორის, „ბაზელი" რომ წლეულს ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, კანტალუპის დამსახურებაცაა. ჰაკან და მურატ იაკინებთან ერთად მარიო კანტალუპი „ბაზელის" წამყვანი მოთამაშეა.

ერთი სიტყვით, იაკობ კუნის 19 რჩეული ფეხბურთელი გაცხოველებულ სამზადისშია.

*მეკარეები:* იორგ შტილი (მიონხენგლადბახი, გერმანია), პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი);

*მცველები:* ბერნტ ჰაასი (სანდერლენდი, ინგლისი), შტეფან ანში (ლივერპული, ინგლისი), შტეფან კლიერი (ციურიხი), ლუდოვიკ მანინი (ვერდერი, გერმანია), რემო მაიერი (მიუნხენ 1860, გერმანია), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), მურატ იაკინი (ბაზელი);

*ნახევარმცველები:* რიკარდო კაბანასი (გრასჰოპერი), ფაბიო სელესტინი (მარსელი, საფრანგეთი), სებასტიან ფურნიე (სერვეტი), იოჰან ფოგელი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), რაფაელ ვიკი (ჰამბურგი, გერმანია), ჰაკან იაკინი (ბაზელი), მარიო კანტალუპი (ბაზელი);

*თავდამსხმელები:* შტეფან შაპუიზა (იანგ ბოისი), ალექსანდერ ფრეი (სერვეტი), ლეონარდ ტურე (სერვეტი).

**გიორგი გუგაძიძე**

## ინგლისი
პრემიერლიგა. გადადებული მატჩი
მანჩესტერ იუნ. 1:0 მიდლსბრო

## იტალია
თასის II ეტაპი
ჯენოა — სამპდორია 0:1-ზე შეწყდა

## პოლონეთი
V ტური
ვიძევი 1:1 ამიცა

## კალათბურთი
### მსოფლიოს ჩემპიონატი
E ჯგუფი
თურქეთი 86:66 ანგოლა
იუგოსლავია 90:69 ბრაზილია



ზურაბ ხიზანიშვილი

# ასი პროცენტი დანდელი ქართველებისთვის

## ზურაბ ხიზანიშვილს ცენტრი ურჩევნია

### ბაზელი გამოტყვრა და ნემსაძე დანდიში დატოვა

*ჩვენი ეროვნული გუნდის ნებისმიერი ჩაფლავების მერე ნაკრების გადახალისებაზე ლაპარაკი ჩვეულებრივი ამბავი კია, მაგრამ ისიცაა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელებით ძალიან ღარიბნი ვართ. თუმც ახალ თაობაში მაინც მოგვეძებნება რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი.*

*ზურაბ ხიზანიშვილი, შეიძლება ითქვას, ნაკრებში უკვე ფეხმოკიდებულია. მაგრამ ტრავმის გამო არცთუ ცოტა გაუცდა და, ცხადია, ბოლო დროს ვერც ეროვნულ გუნდში ვხედავთ. შოტლანდიური „დანდის" 20 წლის ქართველმა იანვარში გაიკეთა მუხლის მყესების ოპერაცია და საცაა, სრულად მომჯობინდება*

— ყველაფერი კარგად მიდის. ვარჯიში ახლახან განვაახლე, „დანდის" მეორე გუნდთან უკვე მეორედ ვივარჯიშე.

**— თამაში როდის შეგეძლება?**

— მწვრთნელი ჯიმ დაფი ამის შესახებ თითქმის ყოველდღე მესაუბრება, უნდა, რაც შეიძლება მალე შევძლო, რომ ასი პროცენტით დავიხარჯო. ამისთვის კი საჭიროა, ნელ-ნელა ჩავდგე ფორმაში. მეორე გუნდი ხომ მაინც სხვაა და მეც ასე მირჩევნია. რამდენიმე დღეში ამხანაგურ მატჩში ვითამაშებ და თუ ტკივილი არ შემაწუხებს, მყისვე პირველ გუნდთან ერთად დავიწყებ ვარჯიშს.

— „დანდის" დაცვა ამ ბოლო დროს უკეთ ათამაშდა და კონკურენციაც საკმაო იქნება — აქებენ ლი უილკისა და დებიუტანტ ტომ ჰათჩისონსაც.

— ბოლო მატჩში „დანდი იუნაიტედთან" მათ მართლაც კარგად ითამაშეს. თუ არ ვცდები, შეხვედრას შოტლანდიის ნაკრების თავკაცი ბერტი ფოგთსიც დაესწრო. უილკი ნაკრებშია მიწვეული, ხოლო ნახევარმცველი გივენ რაე არ გამოიძახეს.

**— შენ დაფი ისევ დაცვაში გაგამწესებს?**

— არ არის გამორიცხული, ნახევარდაცვაში ვითამაშო. რა თქმა უნდა, მეც ნახევარდაცვის ცენტრში მირჩევნია თამაში.

**— „დანდის" რომ ფინანსურად უჭირდა, არაზალია. დღესდღეობით რა ვითარებაა?**

— ივანო ბონეტის დროს მართლაც იყო ფინანსური პრობლემები. მაგრამ კლუბს ახალი სპონსორი ჰყავს და ეს პრობლემა მოგვარებულია.

**— გიორგი ნემსაძე მართლა აპირებდა „დანდიდან" წამოსვლას?**

— კი, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ნემსაძე „სელტიკში" უნდა გადასულიყო, დაურეკეს და უთხრეს, რომ თუ „სელტიკი" ჩემპიონთა ლიგაში მოხვდებოდა, ტრანსფერიც შედგებოდა. ერთი სიტყვით, „სელტიკს" საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბაზელისთვის" რომ მოეგო, ნემსაძის „სელტიკში" გადასვლა ასპროცენტიანი გახლდათ.

**— ეროვნული ნაკრების მწვრთნელები არ შეგხმიანებიან, არ გამხნევებდნენ სარეაბილიტაციო პერიოდში?**

— როგორ არ მამხნევებდნენ. ამ რამდენიმე დღის წინ კი ფეხბურთის ფედერაციიდან დამირეკეს და ჯანმრთელობის მდგომარეობა გამომკითხეს, მაგრამ უთამაშებლობის გამო შვეიცარიასთან მატჩისთვის ნაკრებში გამოძახება გამორიცხული იყო. რუსეთთან 12 ოქტომბრის შეხვედრისთვის კი, ღმერთმა ქნას, ნორმალურ ფორმაში ვიყო.

**დავით თავართქილაძე**

# მეტალურგს ჯამარაულის გოლი დაამადლეს

## ქინქლაძე კარგ ფეხზე გამოჩნდა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. თასის პირველი ეტაპი** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰალეშერი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰალეშერი 3:1 | 90 | | 1 | 0 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰალეშერი 3:1 | 58 | 1გოლი, შეცვალეს | 1 | 1 | |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | ჰალეშერი 3:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ჰალეშერი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ვოლფსბურგი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ჰოფენჰაიმი 1:4 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | პაშინგი 1:3 | ? | | ? | 0 | 4 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | სტოკი 2:0 | 31 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 10 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანფერმლაინი 6:0 | 90 | | 5 | 2 | 2 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | დანდი იუნ. 0:0 | 90 | | 5 | 0 | 8 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | დანდი იუნ. 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 8 |
| **ბელგია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ვესტერლო 0:1 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | ს | აარაუ 2:1 | 90 | | 2 | 0 | 11 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | შ | ლუცერნი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | ურალანი 0:2 | 0 | | 8 | 5 | 12 |
| გია იმედაძე | ალანია | ს | ურალანი 0:2 | 0 | ტრანსფერზეა | 10 | 2 | 12 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | ურალანი 0:2 | 90 | | 10 | 5 | 12 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | სატურნი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | სატურნი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 2 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | შინიკი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | როტორი 2:1 | 85 | შეცვალეს | 20 | 1 | 14 |
| ედიკ სადჟაია | ტორპედო | ს | ცსკა 3:2 | 0 | | 14 | 0 | 7 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | ცსკა 3:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | პოლიგრაფტექნიკა 1:1 | 90 | | 6 | 0 | 10 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | პოლიგრაფტექნიკა 1:1 | 90 | 1 გოლი | 8 | 6 | 10 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | პოლიგრაფტექნიკა 1:1 | 0 | | 2 | 1 | 10 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟია | ს | ობოლონი 0:2 | ? | | ? | 0 | 15 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | მ. დონეცკი 2:1 | 90 | 1 გოლი | 7 | 6 | 2 |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | არსენალი 1:2 | 90 | 1 გოლი | 2 | 1 | 5 |
| **პოლონეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | | ტური გამოტოვა | | | 4 | 1 | 8 |
| **უნგრეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| კახაბერ ჩხეტიანი | დებრეცენი | ს | გიორი 1:0 | 80 | შეცვალეს | 2 | 0 | 5 |
| **საბერძნეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | ს | პანაჰაიკი 2:0 | 5 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 1 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | დინაბურგი 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | დინაბურგი 4:0 | 0 | | 14 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | დინაბურგი 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 3 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | | ტური გამოტოვა | | | 14 | 1 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

**უკრაინაში** მობურთალ ქართველ მეგოლეებს — ვასილ გიგიაძესა და შალვა აფხაზავას გოჩა ჯამარაულმაც აუბა მხარი და მერვე ტურში ერთბაშად სამი „ქართული" ბურთი გავიდა. სიმფეროპოლის „ტავრია" სტუმრად მარცხს გიგიაძის გოლით გადაურჩა. „ტავრია" უკვე სატურნირო ცხრილის შუაშია და გიგიაძის მსურველ კლუბებსაც უარით ისტუმრებს.

— ჩემს გაშვებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურთ. მპირდებიან, რომ ზამთარში კარგ კლუბს გამიხერხებენ. მანამდე კი, ალბათ, „ტავრიას" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მივეშველები — გვითხრა ვასილ გიგიაძემ.

ამავე ტურში შემდგარ ქართულ „დერბიში" ჩვენებურებმა თავი არ შეირცხვინეს. ამბიციებმოძალებული კიევის „არსენალი" თავიდანვე დაწინაურდა სტუმრად დონეცკის „მეტალურგთან", თუმც გოჩა ჯამარაულმა გათანაბრება შეძლო.

„გოლი მასპინძლებს არ დაუმსახურებიათ. ის უფრო ქართველი ნახევარმცველის ფანტაზიის ნაყოფი იყო. ჯამარაულმა ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით ჩამოიშორა მცველები და ბურთი ცხრიანში შეაგდო" — წერენ უკრაინელი ჟურნალისტები.

მატჩის ბედი კი შალვა აფხაზავამ გადაწყვიტა. ეს ქართველი თავდამსხმელის მეექვსე გოლია შვიდ შეხვედრაში, რაც არცთუ ურიგო შედეგია. „არსენალი" კი მეორე ადგილით იწონებს თავს და ამაყად დაჰყურებს უკრაინული ფეხბურთის გრანდ დონეცკის „შახტარს".

პირველად გამოჩნდა ამ სეზონში ინგლისურ „დერბი ქაუნთიში" გიორგი ქინქლაძე. ჩვენებური 59-ე წუთზე შევიდა მოედანზე და ჯონ გრეგორის შეგირდებმაც ამის შემდეგლა შეძლეს „სტოკის" გატეხვა.

წარმატებით ითამაშა გერმანიის თასის პირველ ეტაპზე „ფრაიბურგმა". ქართველთა გუნდმა 3:1 სძლია ქვედალიგელ „ჰალეშერს". ერთი გოლი ლევან ცქიტიშვილმა გაიტანა. კობიაშვილმა 90 წუთი ითამაშა, იაშვილი კი ფეხის ტკივილმა ისე შეაწუხა, რომ ფოლკერ ფინკემ მისი თამაში მიზანშეუწონლად ჩათვალა.

სამაგიეროდ, გიორგი დეკანოსიძემ მოიშუშა ტრავმა და „ფიურტის" შემადგენლობაშიც გამოჩნდა, თუმც მისმა გუნდმა უსახელო „ჰოფენჰაიმთან" ვერაფერი გააწყო და 1:4 დამარცხდა.

შოტლანდიაში დიდი ანგარიშით 6:0 იმარჯვა შოთა არველაძის „რეინჯერსმა". ქართველმა სრულად ითამაშა, გოლი არ გაუტანია, თუმც სწორედ მისი მოცელვისთვის დანიშნული პენალტით იხეირა ბარი ფერგიუსონმა. გიორგი ნემსაძის „დანდიმ" კი კიდევ ერთი ქულა შემატა აქტივს. „დანდიმ" თანაქალაქელ „იუნაიტედთან" გაიყო ქულები.

რუსეთში მოთამაშე ქართველებიდან მწვრთნელებმა მხოლოდ ორი ჩვენებური ათამაშეს. მიხეილ აშვეთიას „ალანიამ" ვერაფერი გააწყო სტუმრად „ურალანთან" და 0:2 დამარცხდა. აშვეთიამ მხოლოდ რამდენიმე დარტყმით გამოიჩინა თავი, თუმც ამას რეალური არაფერი მოჰყოლია. რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილმა ელისტელებმა იოლად მოიპოვეს საჭირო სამი ქულა.

როგორც იქნა, მოიგო მახაჩყალის „ანჟიმ". გუნდში მწვრთნელ გაჯი გაჯიევის დაბრუნებამ კარგად იმოქმედა დაღესტნელებზე და ბოლო შვიდ მატჩში პირველი სამი ქულაც მოიპოვეს. გაჯიევმა ჩვენებური კახა მჟავანაძე სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა და მხოლოდ მატჩის მიწურულსღა შეცვალა. მჟავანაძემ რუსი ჟურნალისტებისგან მაღალი შეფასება მიიღო.

შვეიცარიაში კი კვლავ მოიგო მიხეილ ყაველაშვილის „ლუცერნმა". ქართველმა ნახევარმცველმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე. ოთხქულაჩამორთმეული „ლუცერნი" კვლავ ბოლოდან მეორეა სატურნირო ცხრილში, თუმც ასე თუ გააგრძელა...

**კახა ზალამბერიძე**



ლევან ცქიტიშვილი (მარცხნივ) „ფრაიბურგს" ერთი გოლით შეეწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამმაგი ილეთი

## ინგლისი

### პრემიერლიგა. IV ტური

**ლივერპული 2:2 ნიუკასლი**

1:0 ჰამანი (53), 2:0 იუენი (73პ), 2:1 სპიდი (80), 2:2 შირერი (88)

ლივერპული: დუდეკი, შავიერი, ანრი, ჰიიპია, ტრაორე, დენი მერფი, ჰამანი, ჯერარდი (მურო 83), შმიცერი (დიუფი 67), იუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ბრემბლი, დაბიზასი, ბერნარი, სოლანო (ჯენასი 63), დაიერი, სპიდი, ვიანა (რობერი 63), ლუა ლუა (ბელამი 63), შირერი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

გაფრთხილება: ჰამანი, ბერნარი, სპიდი

მსაჯი: პოლი

43 241 მაყურებელი

**ბოლოს** როდის იყო, რომ „ტოტენჰემ ჰოტსპური" ინგლისის ჩემპიონატს ლიდერობდა?

ახლა არის. გლენ ჰოდლის გუნდი ორი ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს, რადგან „ნიუკასლ იუნაიტედმა" თავი დადო „ენფილდ როუდზე" და ორბურთიანი სხაობა შეხვედრის ბოლო ათ წუთში გააქრო.

სიმართლე ითქვას და, თამაში „ლივერპულისა" იყო, ოთხმოცი წუთის განმავლობაში მასპინძლები უკეთესნი იყვნენ და საგოლე მომენტებიც მათი იყო, მეორე ტაიმში გატანილ ორ გოლზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მაგრამ ყველანი ვიცნობთ სერ ბობი რობსონს, რომელიც ფეხბურთის ნამდვილი მაგი გახლავთ და 63-ე წუთზე სამმაგი შეცვლა მოახდინა, როცა მოედანზე შეუშვა ჯერმენ ჯენასი, ლუსიენ რობერი და კრეიგ ბელამი. ამ დროს „ნიუკასლი" 1:0-ს აგებდა და თუმცა ათიოდ წუთში ერთი გოლი კიდევ გაუშვა პენალტის ნიშნულიდან, ამ სამი კაცის შესვლამ მაინც თავისი გააკეთა — მასპინძლებმა შუა მოედანი დაკარგეს.

მასპინძელთაგან მშვენივრად ითამაშა მაიკლ იუენმა, მას ჰეთ თრიქი ერგებოდა.

რობერისა და ბელამის საქმე ის იყო, რომ სწორედ მათმა მახვილგონიერებამ მოამზადა გარი სპიდის პირველი საპასუხო. ხოლო ვისაც კვლავ სჯერა ალან შირერისა, ის ამჯერადაც არ შემცდარა, კაპიტნის ტყვიასავით თავურმა მეტეორივით ჩაუქროლა მეკარე ირჟი დუდეკს.

„გაშვებულმა გოლებმა არ გაგვტეხა. ეტყობოდა, რომ ამ თამაშში საჩვენოც იყო რაღაც" — თქვა რობსონმა მატჩის შემდგომ.

„ლივერპული" მესამე ადგილზე დარჩა და მხოლოდ უარესი ბურთებით ჩამორჩება „არსენალს". თამაშნაკლული „ნიუკასლი" მეცამეტეზეა, თუმცა, დროებით.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტოტენჰემი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| არსენალი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:5 | 8 |
| ლივერპული | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| ლიდსი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 6 |
| ჩელსი | 4 | 1 | 3 | 0 | 7:6 | 6 |
| ჩარლტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| სიტი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| მიდლსბრო | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ბლექბერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| სანდერლენდი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| ევერტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| ნიუკასლი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| ფულემი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ბირმინგემი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ასტონ ვილა | 4 | 1 | 0 | 3 | 1:3 | 3 |
| ბოლტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 3 |
| საუთჰემპტონი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| ვესტ ჰემი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |



REUTERS

ივან ელგერამ „რეალის" პრიმერადივიზიონური ანგარიში გახსნა




REUTERS

ალან შირერმა მაიკლ ოუენს ხასიათი წაუხდინა

# ბიჭებმა იზობოქრეს
## რონალდომ ცალი თვალით უყურა

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. I ტური

**რეალი 2:0 ესპანიოლი**

1:0 ელგერა (34), 2:0 მაკმანამანი (88)

რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ (მაკმანამანი 82), მაკელელე, კამბიასო (სოლარი 89), ზიდანი, რაული, გუტი (მორიენტესი 80)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ესპანიოლი: სერხიო, დომორო, ამაია, სოლდევილა, ნავასი (ხავი როკა 61), ბოგოსიანი, მაქია, კრუსატი (მარტინ პოსე 5), მორალესი (ალექს ფერნანდესი 61), რობერი, ტამუდო

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: იერო, მაკელელე, მარტინ პოსე

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

72 485 მაყურებელი

**ჩემპიონატის** პირველი ტურის ბოლო შეხვედრაში მადრიდის „რეალმა" „სანტიაგო ბერნაბეუზე" კატალონიურ „ესპანიოლს" 2:0 მოუგო. დედაქალაქელთა ახალი სეზონის მთავარი შენაძენი, ბრაზილიელი რონალდო, ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს თავისი ახალი კლუბის თამაშს. მას მალიმალ აჩვენებდნენ და თუ შენიშნეთ, დიდად არც აინტერესებდა, მოედანზე დატრიალებული ამბები.

„რეალმა" შეხვედრა ფრთხილად დაიწყო და საწყის თხუთმეტ წუთში მეტოქის კართან ღირებული ვერაფერი შექმნა, ის კი არა, პირიქით, ბარსელონელებს ოდნავ რომ გამართლებოდათ, ანგარიშსაც გახსნიდნენ.

საწყისი მღელვარება ჩაცხრა და მადრიდელებმაც მოწინააღმდეგის კარისკენ გაიხედეს — ზედიზედ ოთხი ჩაწოდებული კუთხური მეტ-ნაკლებად სახიფათო გამოდგა. ცენტრში თავისებურად ბობოქრობდა ზინედინ ზიდანი, რომლის გამჩერებელიც იმ საღამოს არავინ ჩანდა. ლუიშ ფიგუს, მიჩელ სალგადოსა და რობერტო კარლოსს ხუანდე რამოსის დამოძღვრილები მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდათ. ტაიმის დასრულებას თერთმეტი წუთი უკლდა, როდესაც მორიგ კუთხურს ივან ელგერას თავური გოლი მოჰყვა.

მეორე ნახევარში „რეალის" უპირატესობა უფრო თვალშისაცემი გახდა. მადრიდელებმა აურაცხელი მომენტები შექმნეს სერხიოს კართან.

ყმაწვილი კამბიასოს ორი უზადო გადაცემით გუტი ამდენჯერვე პირისპირ შეეყარა მეკარეს, თუმც უშედეგოდ. შემდეგ როგორც „ფეიენოორდთან", ასევე ამ შეხვედრაში ჩრდილში მყოფი რაულის ჯერი დადგა, რომელმაც მარცხენა ფლანგიდან რობერტო კარლოსის გადაცემა ხელსაყრელი პოზიციიდან ქარს გაატანა.

ამასობაში სტუმრებმა გაიხსენეს, რომ აგებდნენ და გოლის გატანაზე უნდა ეფიქრათ. იმ საღამოს სტუმართაგან ყველაზე სახიფათოდ მოთამაშე როხერ გარსიამ შორეული დარტყმით მადრიდელთა კარის ხარიხა მოიკითხა.

ვისენტე დელ ბოსკემ ხიფათის მოახლოება იგრძნო და უმალ ორმაგი შეცვლა განახორციელა. გუტის ნაცვლად მორიენტესი, ხოლო ფიგუს ნაცვლად მაკმანამანი შეუშვა. სწორედ ამ უკანასკნელმა მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე რაულის გადაცემით მეკარესთან დუელი მეორე გოლით დაასრულა.

**ზურაბ რუხაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ბეტისი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მალაგა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ვალიადოლიდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სელტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ოსასუნა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ალავესი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| რაიო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ატლეტიკო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბარსელონა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| უელვა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| სევილია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| რასინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბილბაო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| მალიორკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ესპანიოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## უკრაინა

8-ე ტური: ობოლონი — მეტალურგი (ზაპოროჟია) 2:0; კრივბასი — დინამო 0:0; კარპატი — ვოლინი 0:2; ვორსკლა — შახტარი 1:2; მეტალურგი (მარიუპოლი) — მეტალისტი 1:1; მეტალურგი (დონეცკი) — არსენალი 1:2; პოლიგრაფტექნიკა — ტავრია 1:1; ჩერნომორეცი — დნეპრი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნეპრი | 8 | 6 | 2 | 0 | 13:4 | 20 |
| არსენალი | 8 | 6 | 1 | 1 | 21:7 | 19 |
| შახტარი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:8 | 17 |
| დინამო | 7 | 5 | 1 | 1 | 15:6 | 16 |
| მ. დონეცკი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:7 | 16 |
| ვოლინი | 8 | 4 | 0 | 4 | 9:14 | 12 |
| ვორსკლა | 8 | 3 | 0 | 5 | 7:11 | 9 |
| მ. მარიუპოლი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:9 | 9 |
| კარპატი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:10 | 9 |
| ტავრია | 8 | 2 | 2 | 4 | 12:14 | 8 |
| ობოლონი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:11 | 8 |
| პოლიგრაფტექნიკა | 8 | 1 | 5 | 2 | 7:12 | 8 |
| კრივბასი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:9 | 7 |
| მეტალისტი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:12 | 6 |
| მ. ზაპოროჟია | 8 | 1 | 2 | 5 | 4:11 | 5 |
| ჩერნომორეცი | 8 | 1 | 1 | 6 | 4:12 | 4 |

## პორტუგალია

### I ლიგა. II ტური

**ბოავიშტა 0:1 პორტუ**

0:1 კოშტინია (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| სპორტინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| გიმარაეში | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| ბელენენსეში | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| პორტუ | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სეტუბალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბრაგა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ფერეირა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჟილ ვისენტე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ბეირა მარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მარიტიმუ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ვარზიმი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| სანტა კლარა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბოავიშტა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ნასიონალი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| მორეირენსე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ლეირია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| აკადემიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## შვედეთი

### XVIII ტური

**კალმარი 0:3 მალმიო**

**ოერგრიტე 0:1 ჰალმსტადი**

**ნორჩიოპინგი 1:1 გიოტებორგი**

**ჰამარბი 0:2 აიკ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 18 | 11 | 2 | 5 | 40:24 | 35 |
| ოერგრიტე | 18 | 8 | 8 | 2 | 33:24 | 32 |
| იურგორდენი | 18 | 9 | 4 | 5 | 30:23 | 31 |
| ლანდსკრონა | 18 | 8 | 4 | 6 | 35:26 | 28 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 7 | 5 | 6 | 28:28 | 26 |
| იორებრო | 18 | 7 | 5 | 6 | 22:26 | 26 |
| აიკ | 18 | 5 | 8 | 5 | 25:26 | 23 |
| სუნდსვალი | 18 | 5 | 8 | 5 | 20:22 | 23 |
| ელფსბორგი | 18 | 6 | 5 | 7 | 20:23 | 23 |
| ჰამარბი | 18 | 5 | 6 | 7 | 30:31 | 21 |
| გიოტებორგი | 18 | 6 | 3 | 9 | 17:25 | 21 |
| ჰალმსტადი | 18 | 4 | 8 | 6 | 19:21 | 20 |
| ნორჩიოპინგი | 18 | 3 | 7 | 8 | 21:24 | 16 |
| კალმარი | 18 | 3 | 5 | 10 | 11:28 | 14 |


# იყიდება სასწრაფოდ!

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შვეიცარიაში.

ფასი შეთანხმებით

ტელ: 22-23-15



# არდილესი პოლიციამ გადაარჩინა

## არგენტინა

### აპერტურა

მე-6 ტური: რივერ პლეიტი — ურაკანი 1:2; ლანუსი — ბოკა ხუნიორსი 1:0;ველეს სარსფილდი — ინდეპენდიენტე 1:2; ოლიმპო — უნიონი 2:3; ნიუელს ოლდ ბოიზი — როსარიო სენტრალი 0:2; ჩაკარიტა ხუნიორსი — არსენალი 0:1; კოლონი — ტალიერესი 0:0; ხიმნასია (ლა პლატა) — ბანფილდი 0:1; სან ლორენსო — ესტუდიანტესი 3:1

„როსარიო სენტრალმა“ 2:0 მოუგო „ნიუელს ოლდ ბოიზს“ და აპერტურას ცხრილის სათავეში მოექცა მას შემდეგ, რაც დედაქალაქელი დიადები „რივერი“ და „ბოკა“ ყველასთვის მოულოდნელად დამარცხდნენ.

„რივერის“ მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ ღირსებას მოკლებულები უწოდა თავის ფეხბურთელებს, რომლებმაც 1:2 წააგეს საშინაო მატჩში უმწვრთნელო „ურაკანთან“. „ბოკა“ „ლანუსთან“ დამარცხდა (0:1), რომელსაც ისევე როგორც „ურაკანს“, აქამდე თამაში არ მოეგო.

ლუის მენოტის ხელქვეით მოთამაშე „როსარიომ“ თანაქალაქელი „ოლდ ბოიზი“ ბოლო 22 წლის განმავლობაში პირველად დაამარცხა. გოლები ტაიმების მიწურულს ლუსიანო ფიგეროამ და გუსტავო აროლამ გაიტანეს.

„ბურთის ფლობაში და გადაადგილებაში ვჯობდით“, დაასკვნა თამაშის შემდეგ მენოტიმ.

ახლა „როსარიოს“ ექვსი თამაშიდან 15 ქულა და ერთადერთი წაგება აქვს. გუნდი ერთი ქულით უსწრებს „ინდეპენდიენტეს“, რომელმაც 2:1 სძლია „ველეს სარსფილდს“. ამ თამაშის გმირი ერნან ფრანკო იყო, რომელმაც 82-ე წუთზე გაიტანა გამარჯვების გოლი, მაგრამ შეხვედრის ბოლო წამებზე მეორე ყვითელით დატოვა მოედანი დროის გაყვანისთვის.

ტურის ერთი თამაში გადაიდო: „რასინგმა“ „ნუევა ჩიკაგოს“ ვერ უმასპინძლა, რადგან პოლიციამ უსაფრთხოების ზომები და ვიდეოკამერების ნაკლებობა დაუწუნა მის სტადიონს. ამან ერთი კვირით გაუგრძელა კლუბის სათავეში ყოფნა მწვრთნელ ოსვალდო არდილესს, რომელიც „რასინგის“ უვარგისი თამაშის გამო სამსახურის დაკარგვის წინაშე დგას.

**ბუსტოს დომბიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსარიო | 6 | 5 | 0 | 1 | 18:5 | 15 |
| ინდეპენდიენტე | 6 | 4 | 2 | 0 | 13:5 | 14 |
| რივერ პლეიტი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:3 | 13 |
| ბოკა ხუნიორსი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| ოლდ ბოიზი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 11 |
| უნიონი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:7 | 11 |
| ველესი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:3 | 10 |
| სან ლორენსო | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| კოლონი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:7 | 9 |
| არსენალი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| ჩაკარიტა | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |
| ტალიერესი | 6 | 1 | 3 | 2 | 3:6 | 6 |
| ოლიმპო | 6 | 1 | 2 | 3 | 7:9 | 5 |
| ნუევა ჩიკაგო | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| ბანფილდი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 5 |
| ხიმნასია | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| რასინგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:12 | 4 |
| ურაკანი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:12 | 4 |
| ლანუსი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:9 | 4 |
| ესტუდიანტესი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:14 | 2 |



„რივერ პლეიტი“ „ურაკანს“ მოსაგებად ვერ გადაახტა



დიდმეგოლე რომარიოს ოთხი თამაშია, არ გაუტანია. მგონი დაბერდა ...

# ეს არის მსოფლიოს ჩემპიონი?

## ბრაზილია

მე-7 ტური: სან პაულუ — გრემიო 2:0; პარანა — პალმეირასი 5:1; ატლეტიკო მინეირო — პორტუგეზა 0:0; პონტე პრეტა — სან კაეტანო 0:1; გოიასი — გუარანი 1:2; ფლამენგო — კრუზეირო 1:1; ჟუვენტუდე — ვასკუ და გამა 1:0; ვიტორია — პაისანდუ 5:1; კურიტიბა — ფლუმინენსე 2:0; ბოტაფოგო — გამა 1:0; კორინთიანსი — ატლეტიკო პარანენსე 0:3; ინტერნასიონალი — სანტოსი 3:0

**ასეც ხდება**: უცნობმა თავდამსხმელმა მარსიომ ოთხი გოლი გაუტანა მსოფლიოს ჩემპიონ მეკარე მარკოსს, ხოლო „პარანამ“ 5:1 მოუგო „პალმეირასს“ საერთობრაზილიური პირველობის მორიგ ტურში.

„პალმეირასს“ ექვსი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა და ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია, რამაც კიდევ უფრო შეარყია მწვრთნელ ფლავიო მურტოსას, მსოფლიო თასზე ლუის ფელიპე სკოლარის მარჯვენა ხელის სავარძელი.

დოდომ პირველ წუთზევე დააწინაურა „პალმეირასი“, მაგრამ მერე მარსიოსა და „პარანას“ ჯერი დადგა: დიდი „პალმეირასი“ კი ბოლოდან მესამეა 26-გუნდა ცხრილში.

ოთხი გოლი შეაგდო „ვიტორიას“ ფორვარდმა ანდრემაც, მისმა გუნდმა კი ასევე 5:1 მოუგო „პაისანდუს“. ანდრე 7 ბურთით ჩემპიონატის მთავარი მეგოლეა.

ცხრილის სათავეში კვლავ „სან პაულუა“, რომელმაც ფაბიო სიმპლისიოსი და კაკას გოლებით სძლია „გრემიოს“. მხოლოდ უარესი ბურთებით ჩამორჩება ლიდერს „ჟუვენტუდე“, რომელმაც 60-ჯარიმიან უხეშ თამაშში, გვარიან სიცივეში 1:0 მოუგო „ვასკუს“. ამდენი ჯარიმის მიუხედავად მსაჯმა ედისონ პერეირამ მხოლოდ ოთხი ყვითელი ბარათი გაიმეტა.

„ვასკუში“ დებიუტი ჰქონდა ცრვენაზვეზდელ დეიან პეტკოვიჩს, რომელიც ამ გუნდში „ფლამენგოდან“ გადაბარგდა.

მეოთხე თამაში გალია უგოლოდ რომარიომ, მისმა „ფლუმინენსემ“ გასვლაზე წააგო „კურიტიბასთან“ 0:2.

„ცუდად ვითამაშე“, აღიარა რომარიომ, რომელიც გასვლით თამაშებზე გუნდთან ერთად მგზავრობას არ კადრულობს.

„ფლამენგოს“ კი ახალი მწვრთნელი ჰყავს, ევარისტო მასედო, რომელიც კლუბის მეექვსე თავკაცია ბოლო წელიწადში. „ფლამ“ მაინც ვერ მოიგო: საშინაო მატჩი „კრუზეიროსთან“ 1:1 დაასრულდა.

**ისიდორო ბაროდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 7 | 5 | 1 | 1 | 13:6 | 16 |
| ჟუვენტუდე | 7 | 5 | 1 | 1 | 8:3 | 16 |
| ატლ. პარანენსე | 6 | 4 | 1 | 1 | 12:4 | 13 |
| კურიტიბა | 6 | 4 | 0 | 2 | 8:6 | 12 |
| ატლ. მინეირო | 7 | 3 | 3 | 1 | 13:6 | 12 |
| პორტუგეზა | 7 | 3 | 3 | 1 | 5:4 | 12 |
| გუარანი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:7 | 11 |
| ვიტორია | 7 | 3 | 1 | 3 | 14:9 | 10 |
| სანტოსი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| კორინთიანსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:11 | 10 |
| სან კაეტანო | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| გამა | 7 | 3 | 0 | 4 | 5:6 | 9 |
| ბოტაფოგო | 6 | 2 | 3 | 1 | 8:5 | 9 |
| ინტერნასიონალი | 7 | 2 | 3 | 2 | 12:11 | 9 |
| ფლუმინენსე | 7 | 2 | 2 | 3 | 10:10 | 8 |
| პონტე პრეტა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:4 | 7 |
| კრუზეირო | 7 | 1 | 4 | 2 | 6:11 | 7 |
| პარანა | 5 | 2 | 0 | 3 | 10:8 | 6 |
| ვასკუ და გამა | 6 | 2 | 0 | 4 | 9:9 | 6 |
| ფლამენგო | 7 | 1 | 3 | 3 | 8:9 | 6 |
| გრემიო | 7 | 1 | 3 | 3 | 6:11 | 6 |
| გოიასი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:15 | 5 |
| ფიგუერენსე | 6 | 1 | 2 | 3 | 2:9 | 5 |
| პალმეირასი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:14 | 5 |
| ბაია | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | 4 |
| პაისანდუ | 4 | 1 | 0 | 3 | 6:12 | 3 |

## ფინეთი

### XXII ტური

**ჰიკ 2:0 ვაასა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 22 | 15 | 3 | 4 | 36:16 | 48 |
| მიუპა | 22 | 12 | 7 | 3 | 43:20 | 43 |
| ჰაკა | 22 | 11 | 5 | 6 | 31:18 | 38 |
| ალიანსი | 22 | 10 | 4 | 8 | 35:36 | 34 |
| ინტერი | 22 | 8 | 8 | 6 | 28:17 | 32 |
| ტამპერე | 22 | 7 | 11 | 4 | 23:15 | 32 |
| ლაჰტი | 22 | 9 | 5 | 8 | 23:26 | 32 |
| იარო | 22 | 7 | 5 | 10 | 23:36 | 26 |
| კუოპიო | 22 | 6 | 6 | 10 | 26:30 | 24 |
| ჰამენლინა | 22 | 3 | 9 | 10 | 23:34 | 18 |
| ვაასა | 22 | 4 | 5 | 13 | 21:39 | 17 |
| ჯაზი | 22 | 4 | 4 | 14 | 17:42 | 16 |

## ნორვეგია

### XXI ტური

**ვოლერენგა 1:1 ლილესტრიომი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 21 | 14 | 3 | 4 | 44:25 | 45 |
| ლინი | 21 | 13 | 3 | 5 | 29:22 | 42 |
| მოლდე | 21 | 12 | 4 | 5 | 35:19 | 40 |
| ვიკინგი | 21 | 9 | 9 | 3 | 38:24 | 36 |
| სტაბეკი | 21 | 10 | 5 | 6 | 35:25 | 35 |
| ოდ გრენლანდი | 21 | 10 | 3 | 8 | 30:26 | 33 |
| ვოლერენგა | 21 | 6 | 9 | 6 | 30:24 | 27 |
| სოგნდალი | 21 | 8 | 2 | 11 | 29:40 | 26 |
| ბოდიო გლიმტი | 21 | 7 | 4 | 10 | 32:32 | 25 |
| ბრიინი | 21 | 7 | 4 | 10 | 33:35 | 25 |
| ლილესტრიომი | 21 | 6 | 5 | 10 | 26:28 | 23 |
| ბრანი | 20 | 6 | 3 | 11 | 26:38 | 21 |
| მოსი | 21 | 4 | 5 | 12 | 22:38 | 17 |
| სტარტი | 20 | 2 | 5 | 13 | 19:52 | 11 |

## სამხრეთული დარდუბალა

# სტალინი და ოზოზა

## თქვენ ხელფასი რად გინდათ

### ჩილე

უმთავრესი ამბავი ჩემპიონატის გაურკვეველი დროით შეჩერებაა. ოფიციალურად ჩემპიონატის გაჩერება საკმაოდ მარტივად — მოედნებზე ფეხბურთელების არყოფნით აიხსნება. ფეხბურთელების არყოფნა კი თავის მხრივ მიუღებელმა ხელფასებმა გამოიწვია.

ორშაბათს ფეხბურთელების პროფკავშირმა გაფიცვა გამოაცხადა, ფეხბურთის ფედერაციამ მატჩების ჩატარება მაინც სცადა, თუმც უფეხბურთელებოდ ეს, ცხადია, ვერაფრით მოხერხდა. სხვათა შორის, ჩილეში ეს უკვე ფეხბურთელების მეორე გაფიცვაა უკანასკნელ ხუთ წელიწადში.

### კოლუმბია

რენე იგიტა „პერეირაში“ გადავიდა. 35 წლის განთქმული გოლკიპერი შარშან „ატლეტიკო ჟუნიორიდან“ უდისციპლინობისთვის გააგდეს, პროვინციული „პერეირასთვის“ კი მისი მისვლა ფეხბედნიერი აღმოჩნდა. კლუბმა საკუთარ მოედანზე ლიდერ კალის „დეპორტივოს“ 3:1 სძლია და ოთხმატჩიანი წარუმატებელი სერიაც შეწყვიტა.

### ურუგვაი

მონტევიდეოურ დერბიში „ნასიონალმა“ „პენიაროლს“ ოსკარ მორალესისა და ჰორაციო პარალოტის გოლებით 2:0 სძლია და ჩემპიონატის პირველი წრე, აპერტურა მოიგო.

### ბოლივია

აქაურმა ფედერაციამ ლიგის ფეხბურთელთა და მწვრთნელთა ხელფასის მაქსიმალური ზღვარი დააწესა და თვეში 1500 დოლარით განსაზღვრა. დაწესდა მსაჯების მგზავრობაში გადასახდელი ოფიციალური თანხაც. რამდენად უშველის ეს ღონისძიებები კრიზისში მყოფ ბოლივიურ ფეხბურთს, ძნელი სათქმელია. ჩემპიონატში კი ჯერჯერობით „ბოლივარი“ ლიდერობს.

### პერუ

ჩემპიონატის მეორე წრეს, კლაუსურას, „სპორტინგ კრისტალი“ ლიდერობს. მეორე ადგილზე „ესტუდიანტესი“ დამკვიდრდა „კუფსოლის“ 9:1 გაცამტვერების შემდეგ. აპერტურას მომგები „უნივერსიტარიო“ კი ფინანსურ კრიზისშია, თუმცა „დეპორტივო“ 4:1 გაანადგურა.

### პარაგვაი

ლიბერტადორესის თასის მფლობელმა „ოლიმპიამ“ სტუმრად „სპორტივო ლუკუენოსთან“ ქულები გაიყო. ანგარიში ოლიმპიელმა გასტონ კორდობამ გახსნა, თუმც მასპინძლებმა საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე გაათანაბრეს და „ოლიმპია“ რომ არასახარბიელო ფორმაშია, კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

### ვენესუელა

„კარაკასმა“ „კარაბობოს“ 1:0 მოუგო. ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ერთადერთი გოლი სტალინ რივასმა ჩაიწერა თავის ანგარიშზე. თანაც იოსებ ბესარიონის ძის სეხნიას გოლით „კარაკასმა“ პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

### ეკვადორი

„ემელეკის“ თავდამსხმელმა ოტალიო ტენორიომ უკვე მეორედ მოირგო ადამიანი-ობობას ნიღაბი. როგორც ჩანს, ემელეკელი ეკრანებზე ახლადგამოსული „სპაიდერმენის“ ფანატიკოსია და ამას მოედანზე ასე გამოხატავს: ყოველი გოლის შემდეგ ტრუსებში დამალულ ნიღაბს სახეზე იკეთებს. ამჯერად ნიღბის მორგების ცერემონიალი „ბარსელონასთან“ მატჩისას მოხდა. თამაში „ემელეკმა“ 3:1 მოიგო, ტენორიომ კი ანგარიშის გახსნა და სახეზე ნიღაბაფარებულმა წაკუნტრუშებაც მოახერხა.



რენე იგიტა

სხვათა შორის, „სპაიდერმენის“ გუნდისთვის ეს ზედიზედ მესამე გამარჯვებაა. ადგილობრივი მიმომხილველები ამ სერიას კლუბში არგენტინელი მწვრთნელის, როდოლფო მოტას მისვლას უკავშირებენ.

**სერგი ძორიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ალფრედო დი სტეფანომ და ფლორენტინო პერესმა შუაში ფული ჩაიყენეს

# რეალს ფული!

## ფლორენტინო პერესმა ლილოს ბაზრობის ხელში ჩაგდება განიზრახა

*თუ დააკვირდით — თუმცა, რასაკვირველია დააკვირდით — ბოლო დროს, ყველგან, ტელევიზიასა თუ გაზეთებში, რონალდოზეა საუბარი. აი, გადადის „ინტერიდან" „რეალში"... უი, არ გადადის... კი, როგორ არ გადადის... არა, ნამდვილად არ გადადის... და ეს ყველაფერი, ჯამში, დიდძალი თანხა გამოდის. წარმოიდგინეთ, რა ტირაჟით იყიდება, ყოველდღიურად მთელ მსოფლიოში, ეს ცნობები. თან, გაითვალისწინეთ, რომ რაც ვთქვით, მხოლოდ ინფორმაციას ეხება, ხოლო სხვა დანარჩენის, მაგალითად, რონალდოს გვარით დამშვენებული „რეალის" თერთმეტნომრიანი მაისურების გაყიდვა — ახლა დაიწყება. და კიდევ, როდესაც ვამბობთ, მთელ მსოფლიოშიო, უნდა წარმოვიდგინოთ ევროპა, აზია, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა და ნაწილობრივ ჩვენი პლანეტის დანარჩენი ტერიტორიაც, თბილისის ბაზრობების ჩათვლით.*

**ესეც პასუხი** უნებურად წამოცდენილ კითხვაზე, ზიდანის და ფიგუს პატრონს, რონალდო რაღად უნდოდა. უნდოდა და მერე როგორ! გაგველრიჭება ეკრანიდან 25 წლის ბრაზილიელი, იტყვის მხოლოდ „ნაიკი" ჩაიცვითო და... „რეალს" ფული. გადავრთავთ მეორე არხზე. ახლა, იქ გახსნის „რალაც-კოლას" ბოთლს, ხარბად მოყლუპავს, შეგვახარბებს და... „რეალს" ფული. გავალთ ქუჩაში, გავხედავთ ტროლეიბუსის გაჩერებასთან გამოკრულ ხუთმეტრიან პლაკატს, რომლიდანაც ბაჭიასავით კბილებგაკრეჭილი გვიღიმის, კუთხეში კი აწერია „რონალდო კარიესის წინააღმდეგ" და... „რეალს" ფული.

და, გახსოვთ, ორი წლის წინ, მადრიდის „რეალს" 300 მილიონი დოლარი ვალი რომ ჰქონდა? გახსოვს, რა მოიფიქრა მაშინ „სამეფო კლუბის" პრეზიდენტმა? ადგა და კლუბის საწვრთნელი ცენტრი ანუ საბჭოურად ბაზა, ქალაქის მერიას მიჰყიდა 392 მილიონად. მერედა, მერია საწვრთნელ ცენტრს რა თავში იხლიდა? ნაგებობა გადაიფორმა, „რეალს" ფული ჩაუჩხრიალა და უთხრა, შედი გენაცვალე, ჩემს საწვრთნელ ცენტრში, რამდენიც გინდა ივარჯიშეო. ალბათ, რაღაც ქირას ახდევინებს.

და ჩვენ, ფლორენტინო პერესს ვეკითხებით, რონალდოში ფულს რატომ ხარჯავდიო?

იცით, რა? იმ რონალდომ ფეხბურთი სულ რომ აღარ ითამაშოს, პერესი არაფერს დაკარგავს. გითხრათ, რა ჩაუწერა „ინტერის" პრეზიდენტ მასიმო მორატის კონტრაქტში? რა და, თუ რონალდომ თქვენთან თამაშის დროს მიღებული ტრავმის გამო ჩვენთან ვერ ითამაშა, გადმოსარიცხ ფულს აღარ გადმოვრიცხავო.

„ყველამ ვიცით, რომ რონალდო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, მაგრამ ამავდროულად ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო იმიჯის პატრონიცაა.

„ჩვენ მისი მაისურების გაყიდვას ახლავე დავიწყებთ, რადგან გვწამს, რომ ამ მაისურებზე დიდი მოთხოვნილება იქნება და ხუთ წელიწადში, ეჭვი არაა, პლანეტის ყველა ქვეყანას მოვიცავთ" — დასძინა პერესმა, მას მერე, რაც განაცხადა, რომ ბრაზილიელმა თავის იმიჯზე ყველა უფლება „რეალს" მიჰყიდა.

აი, ასეა! ეს არის მთავარი! ჩვენ კი აგვიჩემებია ფეხბურთი და ზიდანის, ფიგუსა და რონალდოს შეთამაშებაო. ისეთი ვითარება იქმნება, „რეალმა" ვერც ჩემპიონთა ლიგაში რომ გაიმარჯვოს, ვერც პრიმერადივიზიონში და ვერც ცოლიანებისა და უცოლოების ტურნირზე, საკმარისია სეზონში ხუთი-ექვსი საინტერესო თამაში გამართოს და ბანკში ანგარიში მოუსუქდება.

ახლა ერთი რამ დავაზუსტოთ: გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით, რომ რონალდოს სანაცვლოდ „ინტერს" „რეალისგან" 47 მილიონი ევრო ეკუთვნის, რომლის ნაწილი ფულად უნდა გადაიხადოს, ნაწილი კი ნატურითო. ვწერდით იმასაც, რომ ნატურს სტივ მაკმანამანი ან სანტიაგო სოლარი ეწოდება, მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ ინგლისელიცა და არგენტინელიც, ჯერჯერობით, ესპანეთში დაბურთაობენ. მაშ, რა ხდება? ისეთი არაფერი. უბრალოდ, ევროპაში სატრანსფერო სეზონი დაიხურა და ამ ორი ნახევარმცველიდან ერთ-ერთის მილანში გადაყვანა აღარ მოესწრო. ასე რომ, „მიმინოსი" არ იყოს, ზამთარში!

ისე კი, „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი, „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბრძანებს, რომ ზამთარშიცა და ზაფხულშიც, ერთსაცა და მეორესაც, ნამდვილი ფული ურჩევნია.

და, კიდევ ერთი. მოგეხსენებათ, მაკმანამანსა და სოლარიმდე ეშმაკ პერესს, „ინტერისთვის" პედრო მუნიტისის შეჩეჩება სურდა, ეუბნებოდა, რონალდოში რა ფულსაც გაძლევ, იმას ზედ მუნიტისს დავამატებო, მაგრამ ოინი არ გაუვიდა. ამიტომ ადგა და, მუნიტისი მის მშობლიურ „რასინგს" ათხოვა ერთი წლით — სარგებელი მეტია, აქამდე მუნიტისი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და სკამიდან მხოლოდ ხელფასის ასაღებად დგებოდა, ახლა კი სანტანდერელები თხოვების ფულს მაინც გადაუხდიან. და, ბარემ აქვე მივასანტანდეროთ: ამ გუნდმა მუნიტისის გარდა ითხოვა დიეგო ალონსო „ვალენსიადან" და მესიაშ კონსეისაო (სახელი მესია კარგს უნდა მოასწავებდეს) ბრაზილიური „ფლამენგოდან".

ბოლოს კი ჩვენი წერილის ყველაზე გემრიელი, კომერციული ნაწილი — რა თქვა თავგადაპარსულმა (წინაც გადაუპარსავს) რონალდომ მადრიდში, პრესკონფერენციაზე, 300 ჟურნალისტისა და კიდევ უფრო მეტი ფოტორეპორტიორის წინაშე:

„მადლობას ვუხდი „რეალის" პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს ჩემს აქ გადმოსაყვანად გაწეული გარჯისთვის..."

„ვადასტურებ, რომ მადრიდში გადმოსვლა ძალიან მინდოდა და იმედი მაქვს, რომ გოლებითა და ლამაზი თამაშით მადრიდელების იმედებს გავამართლებ..."

შემდეგ რონალდომ 50-იანი წლების რონალდოსგან ანუ „რეალის" საპატიო პრეზიდენტისგან, ალფრედო დი სტეფანოსგან, მეთერთმეტე ნომრიანი მაისურა ჩაიბარა და თქვა, ჩემი საყვარელი 9 ნომერი მორიენტესისთვის დამითმიაო.

ფლორენტინო პერესი: „დღეს „რეალის" ცხოვრებაში დიდი დღეა. ეჭვი არ მეპარება, რომ რონალდოს დახმარებით კლუბის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლებს ჩავწერთ — იმედი მაქვს, კლუბი ფეხბურთელს დაუფასებს იმ გრძნობას, რომელიც მან ჩვენს მიმართ გამოამჟღავნა. რონალდოს ლტოლვა „რეალისკენ" არ უნდა დავიწყოთ."

აღსანიშნავია, რომ პერესმა, რონალდოს, მილანურთან შედარებით ხელფასიც შეუმცირა და „ინტერისთვის", კონტრაქტის დარღვევის გამო სავალდებულო კომპენსაციაც თავისი ჯიბიდან გადაახდევინა.

**ბაჩუნა ძიდია**




მილანის აეროპორტში ...




პედრო მუნიტისმა „რეალს" ფული დაუზოგა

# ანდრეი შევჩენკო — ადამიანი ბედისწერა

*„მილანის" უკრაინელი სუპერფორვარდი ანდრეი შევჩენკო ახლა ტრავმირებულია, მუხლის ოპერაციამ იგი ოქტომბრამდე ჩამოაშორა ფეხბურთს. შევჩენკო სულ ახლახან მშობლიურ კიევში იმყოფებოდა ამერიკელ ტოპმოდელ კრისტენ პაზიკთან ერთად. უკვე წელიწადნახევარია, რაც ანდრეისა და 22 წლის კრისტენს ერთმანეთი უყვართ. ვინაა შევჩენკო მოედნის მიღმა? პოპულარული ჟურნალი VOGUE ახლახან მისი პერსონით დაინტერესდა და ალსარება დასტყუა. ჟურნალის მკითხველები ძირითადად მშვენიერი, სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან. ვინძლო ამ სტატიის წაკითხვა კაცებისთვისაც საინტერესო იყოს*



კრისტენ პაზიკი და ანდრეი შევჩენკო

## ქალები

როგორც ყველა მამაკაცს, ცხადია, მეც მომწონს ლამაზი ქალები. საერთოდ სილამაზე ძალიან მიყვარს. თუ მიყვარს ვინმე? მხოლოდ ერთი — ის ამერიკელია, 22 წლის ტოპმოდელი. აი, ასეთი ინტერნაციონალური წყვილი ვართ. როცა კრისტენთან ერთად მილანის ქუჩებში ვსეირნობ, ერთმანეთს იტალიურად ვესაუბრებით. უცხო ადამიანები ხანდახან გვეკითხებიან, თქვენ საიდან ხართ? ჩვენც ვპასუხობთ — მე უკრაინელი ვარ, კრისტენი ამერიკელი და იცით, უკვირთ. რატომ, არ ვიცი.

## იმიჯი

მიყვარს ლამაზად და გემოვნებით ჩაცმა. ჯორჯო არმანის პროდუქცია გამორჩეულად მომწონს და ბუნებრივია, მის ტანსაცმელს ვატარებ. ერთხელ ინტერესის გულისთვის პოდიუმზეც გავედი. სიმართლე გითხრათ, იმიჯზე არც მიფიქრია. ერთხელ გადავწყვიტე, თმები გამეზარდა, მაგრამ ორი თვის მერე მომბეზრდა და კვლავ მოკლედ შევიჭერი. თავს ასე უფრო კომფორტულად ვგრძნობ. იმიჯმეიკერიც არ მჭირდება.

## რისკი

სავსებით გასაგებია, რას ნიშნავს რისკზე წასვლა. ნუ გაიკვირვებთ, მაგრამ მის გარეშე ხანდახან მოწყენილიც ვარ. ერთი სიტყვით, მიყვარს რისკი და ექსტრემალური ვითარება, მაგრამ აქვე პასუხისმგებლობის საკითხიც დგება, არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ ოჯახის წინაშეც. თუ მე რამე შემემთხვა, ნაკლებად არც ისინი დაზარალდებიან.

## დასვენება

მიყვარს ზღვა, ოკეანე და ცისფერი ცა. არ მსურს, ვინმემ შემაწუხოს. ტელეფონსაც კი ვთიშავ. წყალში ყვინთვა მიყვარს ძალიან. ბერმუდის კუნძულებზე რომ ვიყავი, ჩაყურყუმალება იქ „დავამულამე". ნუ გაიკვირვებთ, მაგრამ ისე მომეწონა, მინდა ამ საზეობას სერიოზულად მოვკიდო ხელი და პროფესიონალი მყვინთავის ატესტატიც ავიღო.

## ნამდვილი მამაკაცი

ჩემი აზრით, ნამდვილ მამაკაცს პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა უნდა გააჩნდეს, როგორც ცხოვრების, ასევე ახლობლების მიმართ. ვერ გეტყვით, მე ნამდვილი მამაკაცი ვარ თუ არა, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა რომ არ მაკლია, ეს ფაქტია.

## იტალია

ეს ჩემი მეორე სამშობლოა, მილანი კი ჩემი საყვარელი ქალაქი. რაც კიევის „დინამო" დავტოვე, აქაურობა ძალიან შემიყვარდა. უკვე მეოთხე წელია, მილანში ვცხოვრობ, აქაურობის დატოვება გულში ერთხელაც არ გამივლია. ესაა [illegible] მე ძალიან გამიმართლა, [illegible] სუპერკლუბი და ხალხი, რომელიც ძალიან მიყვარს და პატივს მცემენ. იტალიური ენის კურსები არ გამივლია, უბრალოდ, ადვილად ავითვისე, ცხადია, თანაგუნდელების დახმარებით.

## ფეხბურთი

ჩემი გული და სულია. ვერ წარმომიდგენია, ანდრეი შევჩენკო ფეხბურთის გარეშე. როდემდეც შემეძლება, ვითამაშებ. სირბილი არ შემეძლება? ამპლუას შევიცვლი, ფორვარდის ნაცვლად მცველი ვიქნები, ანაც მწვრთნელობას მოვკიდებ ხელს. ერთი სიტყვით, ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა.

**ჟურნალ VOGUE-დან თარგმნა გიორგი ვაშაკიძემ**



შევჩენკო პოდიუმსაც გაუშინაურდა

# 134 მილიონი აბა, ეს რა ფულია

*სატრანსფერო სეზონი კი დაიხურა და სხვა სეზონი დაიწყო, მაგრამ იტალიელებმა სხვაგვარად განსაჯეს. მოგეხსენებათ, სერია A დანარჩენ ევროპულ ჩემპიონატებზე გვიან, ათი დღის მერე იწყება და იქაურებმაც იფიქრეს, ეს ათი დღე უქმად ხომ არ ვიჯდებითო. მოკლედ, იტალიაში სატრანსფერო სეზონი 13 სექტემბრამდე გაგრძელდა. ცხადია, ლიად დატოვებულ ფანჯარაში არაიტალიური კლუბიდან ვერავინ გადაძვრება.*

**პრიზისი** კრიზისად, მაგრამ ამ ზაფხულში სერია A-ს სატრანსფერო ოპერაციების საერთო ღირებულებამ 134 მილიონ ევროს მიაღწია. მართალია, იტალიურ ლიგას უფრო შთამბეჭდავი ციფრებიც ახსოვს, მაგრამ სატელევიზიო კონტრაქტებთან დაკავშირებული საყოველთაო სიდუხჭირის ჟამს ბევრი ამასაც არ ელოდა.

თუმც ფინანსურმა კრიზისმა იტალიას თავისი კვალი მაინც დააჩნია. ბაზარზე საერთოდ ვერ იაქტიურა „რომამ". რამდენიმე წლის წინ ყველაფრის მყიდველმა „ლაციომ" კი თავისი ვარსკვლავების გასხვისებას მიჰყო ხელი. აქედან გამომდინარე, საყოველთაო აზრით, სკუდეტოსთვის ბრძოლაში იტალიის დედაქალაქი ისე ვეღარ იბრძოლებს, როგორც უწინ.

სამაგიეროდ, ტრანსფერებით გამოწვეული შთაბეჭდილების თვალსაზრისით ფავორიტებად მოჩანან „მილანი" და „ინტერი". ეს განსაკუთრებით კახა კალაძის კლუბზე ითქმის. „როსონერიმ" ადრე შეძენილ ვარსკვლავებს წინა უქმეებზე ალესანდრო ნესტაც დაამატა და, ალბათ, „მილანის" დაცვის სისუსტეზე გაუთავებელ ლაპარაკსაც ბოლო მოეღება.

„რეალში" გადასული რონალდოს სანაცვლოდ „ინტერმა" კრესპო იყიდა. არც ფაბიო კანავარო დაგვავიწყდეს. ექტორ რაულ კუპერს ამ ფეხბურთელებით სკუდეტოსთვის ბრძოლა ნამდვილად ხელეწიფება.

სკუდეტოს მფლობელ „იუვენტუსს" კი ასეთი მჟღერი სახელები არ დაუმატებია. „ბებერმა ქალბატონმა" „პარმადან", „ლაციოსი" არ იყოს, მოთამაშეების გაყიდვაზე გადასული კლუბიდან, 30,2 მილიონ ევროდ მარკო დი ვაიო დაიმატა და მარჩელო ლიპისაც ალესანდრო დელ პიეროს, დავიდ ტრეზეგეს, მარსელო სალასასისა დი ვაიოსაგან შემდგარი თავდამსხმელთა შთამბეჭდავი კვარტეტი ჰყავს.

დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ იტალიის საფეხბურთო ლიგამ, რომელსაც „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი თავობს, ქვეყნის მთავრობას დახმარებისთვის თხოვნით მიმართა, თუმც ბოლო დღეებში განხორციელებული ხმაურიანი ტრანსფერებით თუ ვიმსჯელებთ, სერია A-ს დასახმარებელი იქნებ არც არაფერი სჭირდეს.

**სერგი ძორიძე**



მარკო დი ვაიო (მარცხნივ) ამიერიდან ტურინელთა სასარგებლოდ გაირჯება

# დახურვამდე დახურავდნენ

**აქამდე ასე იყო:** პრემიერლიგელებს ფეხბურთელების დამატება სეზონის მსვლელობისას, ანუ ნებისმიერ დროს შეეძლოთ. ახლა წესი შეიცვალა. 31 აგვისტოს სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და სეზონის პირველი ნახევრის დასრულებამდე მიდი-მოდი აიკრძალა.

ამიტომაც ატყდა დიდი აჟიოტაჟი აგვისტოს ბოლო დღეს, ტელეფონების წკრიალი და კონტრაქტების ფრიალი.

სხვებზე გაცილებით ხმამაღლა ლონდონელმა „მამლებმა" დაიყვირეს. „ტოტენჰემმა" 7 მილიონ გირვანქად ბოლო წამს „ლიდსიდან" რობი კინი გადაიბირა.

თავის მხრივ „ლიდსმა" შვედური აიკიდან იჯარის წესით 29 წლის მცველი ტედი ლუკიჩი დაიმატა.

კიდევ ერთი შვედი, იესპერ ბლომკვისტი „მიდლსბროდან" „ჩარლტონში" გადაბარგდა.

ბოლო დღეს გაიჩარხა მადრიდელი ივან კამპოს განათხოვრება „ბოლტონში".

„ვესტ ბრომვიჩმა" შარშანწინდელ სეზონში პირველ დივიზიონში საუკეთესოდ აღიარებული ლი ჰიუზი და მასთან ერთად პერსპექტიული უელსელი ჯეისონ კუმასი დაიბრუნა. სხვათა შორის, ჯეისონ კუმასი „ახალ გიგზად" მონათლეს.

„ასტონ ვილამ" ირლანდიელი მარკ კინსელა და ყოფილი მანჩესტერელი რონი იონსენი აირჩია, ხოლო „ბლექბერნმა" „ქოვენთრისგან" ნახევარმცველი დევიდ ტომპსონი შეიძინა.

ტრავმირებული ფაბიან ბარტეზის ადგილის შესავსებად „მანჩესტერ იუნაიტედმა" ესპანეთის ნაკრებისა და „ვალიადოლიდის" მეკარე რიკარდო გადაიბირა, „არსენალმა" კი „იურგორდენის" ეგვიპტური წარმოშობის შვედი მეკარის, რამი შააბანის დამატებით კარის დარაჯის პრობლემა ნაწილობრივ მოაგვარა.

**ვაჟა ხუციშვილი**



„ახალ გიგზად" მონათლულ ჯეისონ კუმასს (№20) სათამაშოდ ჯერ არ სცალია, თვალებს მკურნალობს




# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

☎ (231) 7 17 58

**ქუთაისში**

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სპუტნიკთან"



როი კინი ცალკე გაძევებამ გაამწარა, ცალკე მტკივანმა ფეხმა

# ფეხი შემოდღო და ჯოჯოხეთში გააგზავნა

**როი კინმა** საოპერაციო მაგიდაზე ფეხის შემოდება გადაწყვიტა. ოპერაციის შემდეგ იგი „მანჩესტერ იუნაიტედს" სამი თვით დააკლდება და სავარაუდოდ ვარჯიშს დეკემბერში განაახლებს.

კინი ჯერ კიდევ მაისში აპირებდა მუხლის მკურნალობას, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ისურვა. როგორც დასრულდა მისთვის ჩემპიონატი, კარგად მოგეხსენებათ.

სხვათა შორის, მაშინ ალექს ფერგიუსონს არ ეწადა კინის გაშვება, რადგან გული უგრძნობდა, ფეხი არ გაუმიზეზდესო. ფეხის მაგივრად ირლანდიელ კაპიტანს ნაკრების თავკაცი მიკ მაკარტი გაუმიზეზდა, როი კინი თავნებობისთვის სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა ქირურგიული ჩარევისგან ფეხბურთელი მაინც თავს იკავებდა.

ფერგიუსონის თქმით, კინი ბოლო მატჩებში გამაყუჩებელი წამლებით თამაშობდა, მაგრამ ნამეტანმა ტკივილმა თავისი გაიტანა და ოპერაცია მოითხოვა.

„სანდერლენდთან" შეხვედრაში მიღებული წითელი ბარათის გამო კინს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის, ჰოდა, როგორც სერ ალექსმა ბრძანა, ახლა მკურნალობისთვის იდეალური დროაო.

ფეხბურთელმა თავის მხრივ დასძინა, მიკ მაკარტის ჩადენილი ცოდვებისთვის ჯოჯოხეთი ელისო.

მართალია, მუხლთან მის ნათქვამს საერთო არაფერი აქვს, მაგრამ თქვა და...

**გაგა ხუციშვილი**

# ცოლი აღარ უხსენოთ ბარსელონა?



მარიო ჟარდელი

**ერთ სეზონში** გატანილი 42 ბურთი და სანაცვლოდ მიღებული „ოქროს ბუცი" ბედნიერებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს.

მარიო ჟარდელის ოჯახური იდილია დაირღვა. მეგოლე კაცს მეორე ნახევარმა უგანა — ცოლი წაუვიდა.

ქალი სხვასთან გაიქცა, ჟარდელი კი — ფსიქიატრიული კლინიკის მიმლებში. განშორებისგან მიღებული სტრესი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელს ფსიქოთერაპევტთა კონსულტაციები დასჭირდა.

ექიმებმა, როგორც ჩანს, კაცს დროებით ფეხბურთისგან ჩამოშორება და ახლობელ-ნათესავებთან სიახლოვე ურჩიეს. არადა, ოქროსბუციან მარიოს ევროპაში ნათელი მომავალი ეპრანჭებოდა, მაგრამ რას იზამ, იმან უმუხთლა...

„სამშობლოში, ოჯახთან დაბრუნება მსურს — აღმოხდა დაღონებულს — ჩავალ ბრაზილიაში და ბავშვებთან ვიქნები. როცა ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა ისევ გაიხსნება, საკუთარ თავს მერე მივხედავ. ახლა „პორტუგეზაში" ვითამაშებ. ჩემი გადაბირება სევილიის „ბეტისს" ეწადა, მაგრამ „ოქროს ბუცის" მფლობელი, ვფიქრობ, უფრო მეტს ვიმსახურებ. პორტუგალიაში, ალბათ, აღარ დავბრუნდები."

გუშინ ითქვა, მარიო ჟარდელმა „ბარსელონასთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა და კატალონიაში საახალწლოდ, ზამთრის სატრანსფერო სეზონისას გადავაო. ვგებ, მართალი იყოს...

**გაგა ხუციშვილი**

# სტიაუამ მძღოლები შეიწირა

**ბუქარესტის** „სტიაუას" ქომაგებმა, რომელთაც კრაკოვის „უნივერსიტატიასთან" 1:3 მარცხი ვერ აიტანეს, დედაქალაქიდან 80 კილომეტრის მოშორებით გზა გადაკეტეს და შემხვედრ ავტომობილებს ქვების სროლა დაუწყეს. მათ დასაშოშმინებლად პოლიციას რეზინის ტყვიების გამოყენება მოუხდა, რის შემდეგაც სამი გულშემატკივარი საავადმყოფოში მოხვდა, რომელთაგან ერთ-ერთი მძიმე მდგომარეობაშია.

„ისინი ათასამდე იყვნენ და მიმავალ ავტომობილებს ქვებს უშენდნენ — განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა — მათ დასაწყნარებლად რეზინის ტყვიების გამოყენება დაგვჭირდა."

„სტიაუას" ქომაგები ახა, რა ხასიათზე იქნებიან, როცა ერთ დროს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ამჟამად ეროვნულ პირველობაში სამი ტურის მერე ერთი ქულით ბოლოდან მესამე ადგილზეა.

# ევროპაში იაპონიის გავლით



იუნგ-ჰვანგ ანმა ევროპოდ მოიწყინა

**სამხრეთ კორეის** ნაკრების თავდამსხმელი იუნგ-ჰვანგ ანი ოთხ თვეს იაპონიის ჯეი-ლიგის კლუბ „შიმიცუ პუისეში" ითამაშებს. იაპონურმა კლუბმა ფეხბურთელის სანაცვლოდ ანის ყოფილ კლუბებს, იტალიურ „პერუჯას" და კორეულ „პუსან იკონს", 1,2 მილიონი დოლარი გადაურიცხა.

შეგახსენებთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის კარში „ოქროს გოლის" გამტან ანს მეორე დღესვე „პერუჯას" პრეზიდენტმა ლუჩანო გაუჩიმ შეუთვალა, აქ ჩამოსული არ დაგინახოო. რამდენიმე დღის შემდეგ კი იტალიელმა აზრი შეიცვალა და ფეხბურთელს ნება დართო, დაბრუნებულიყო, თუმც ანმა „პერუჯაში" თამაში აღარ ისურვა და სხვა კლუბის ძებნას შეუდგა.

კორეელი თავდამსხმელით რამდენიმე გერმანული და ინგლისური კლუბი დაინტერესდა. წინა კვირაში ანის გადაბირებას პრემიერლიგური „ბლეკბერნი" ცდილობდა, თუმც ფეხბურთელს ინგლისში მუშაობის უფლება არ მისცეს. ამასობაში კი ევროპაში სატრანსფერო სეზონიც დაიხურა და ანმა სათამაშოდ იაპონიას მიაშურა.

„მე ევროპაში მსურს თამაში — განაცხადა ფორვარდმა — სადაც ოთხი თვის შემდეგ დავბრუნდები, როცა სატრანსფერო სეზონი ისევ გაიხსნება."

**ლუკა ბიბილეიშვილი**


24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186

# ევროპის 2004 წლის შესარჩევი ეტაპი. 7-8 სექტემბერი

## ბოსნია — რუმინეთი

*მეკარეები:* ტომისლავ პიპლიცა (კოტბუსი, გერმანია), ალმირ ტოლია (ბრეგენცი, ავსტრია);

*მცველები:* მირსად ბესლია (გენკი, ბელგია), ზლატან ბაირამოვიჩი (ფრაიბურგი, გერმანია), მირსად ჰიბიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ვედინ მუსიჩი (კომო, იტალია), საშა პაპაჩი (კერნტენი, ავსტრია), მუნევერ რიზვიჩი (ტორპედო ზილ, რუსეთი), ჯასმინ მურიჩი (პრიმორიე, სლოვენია), ედის მულალიჩი (ჟელეზნიჩარი);

*ნახევარმცველები:* ჰასან სალიჰამიჯიჩი (ბაიერნი, გერმანია), ალმედინ ჰოტა (კერნტენი, ავსტრია), ასმირ იკანოვიჩი (ბრეგენცი, ავსტრია), ედინ მუიჩინი (დინამო, ხორვატია), დანიელ კრივიჩი (ბროტნიო), ბულენდ ბიშჩევიჩი (ჟელეზნიჩარი), ასიმ შკალიჩი (ველეჟი), ხენად ბრკიჩი (ჩელიკი), სინიშა მულინა (ლეოტარი), ვლადან გრუიჩი (ბორაცი, იუგოსლავია);

*თავდამსხმელები:* სამირ მურატოვიჩი (სატურნი, რუსეთი), ნედიმ ჰალილოვიჩი (ვარტექსი, ხორვატია)

*მეკარეები:* ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ვინტილა (ნაციონალი);

*მცველები:* კოზმინ კონტრა (ატლეტიკო, ესპანეთი), კრისტიან კივუ (აიაქსი, ჰოლანდია), იულიან ფილიპესკუ (ბეტისი, ესპანეთი), დანიელ ფლორია (შახტარი, უკრაინა), მირელ რადოი (სტიაუა);

*ნახევარმცველები:* დორინელ მუნტიანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), პოლ კოდრია (ჯენოა, იტალია), ტიბერიუ გიოანე (დინამო, უკრაინა), ფლორინ ხოავა (რაპიდი), კოსტელ გალკა (ვილიაერალი, ესპანეთი), ფლორინ ჩერნატი (დინამო, უკრაინა);

*თავდამსხმელები:* ადრიან მუტუ (პარმა, იტალია), მარიუს ნიკულაე (სპორტინგი, პორტუგალია), დანიელ პანჩუ (ბეშიქთაში, თურქეთი), მარიუს ხავა (უნივერსიტატია), ფლორინ ბრატუ (რაპიდი), იონელ განია (შტუტგარტი, გერმანია)

## ავსტრია — მოლდოვა

*მეკარეები:* ალექს მანინგერი (ესპანიოლი, ესპანეთი), როლანდ გორიუპი (კერნტენი);

*მცველები:* მიხაელ ბაური (ჰამბურგი, გერმანია), ჰარალდ ჩერნი (მიუნხენი, გერმანია), მარტინ ჰიდენი (აუსტრია), მარკუს პოურკი (მიუნხენი, გერმანია), გერდ ვიმერი (ჰანზა, გერმანია);

*ნახევარმცველები:* რენე აუფჰაუზერი (გრაცერი), თომას ფლოგელი (აუსტრია), ანდრეას ჰერცოგი (რაპიდი), იურგენ პანისი (აუსტრია), მარკუს შოპი (ბრეშა, იტალია), მიხაელ ვაგნერი (აუსტრია), მარკუს ვაისენბერგერი (მიუნხენი, გერმანია);

*თავდამსხმელები:* რონალდ ბრუნმაირი (გრაცერი), როლანდ ლინცი (აუსტრია), ივიცა ვასტიჩი (ნაგოია გრამპუს ეითი, იაპონია), რომან ვალნერი (რაპიდი)

*მეკარეები:* ევგენი ხმარუკი (ნეა სალამინა, კვიპროსი), ადრიან ბოგდანი (ტიმიშოარა, რუმინეთი);

*მცველები:* ალექსანდრუ კოვალენკო (დინამო, რუსეთი), ვალერიუ კატინსუსი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ალექსანდრ ბუდანოვი (ტირასპოლი), გენადი ოლექსიკი (ზიმბრუ), ბორის ჩებოტარი (ზიმბრუ), იური პრივგანიუკი (შერიფი), ადრიან სოსნოვსკი (სატურნი, რუსეთი);

*ნახევარმცველები:* სტანისლავ ივანოვი (შერიფი), ვადიმ ბორეცი (შერიფი), რადუ რებეჯა (სატურნი, რუსეთი), იულიან ბურსუკი (ნისტრუ), ვიქტორ ბარისევი (ტირასპოლი);

*თავდამსხმელები:* სერგეი როგაჩევი (სატურნი, რუსეთი), ვიქტორ ბერკო (შინიკი, რუსეთი), სერგეი კლეშჩენკო (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), ალექსანდრ გოლბანი (დაჩია), ეუგენიუ პატულა (შერიფი)

## ხორვატია — ესტონეთი

### ხორვატია

*მეკარეები:* სტიპე პლეტიკოშა (ჰაიდუკი), ტომისლავ ბუტინა (დინამო);

*მცველები:* ბორის ჟივკოვიჩი (ლევერკუზენი, გერმანია), დარიო შიმიჩი (მილანი, იტალია), დანელ პრმანი (ვარტექსი), მარიო ტოკიჩი (გრაცერი, ავსტრია), ფილიპ ტაპალოვიჩი (ბოხუმი, გერმანია), სტიეპან ტომაში (ვიჩენცა, იტალია);

*ნახევარმცველები:* ნიკო კოვაჩი (ბაიერნი, გერმანია), დავორ ვუგრინეცი (ლეჩე, იტალია), მილან რაპაიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), სილვიო მარიჩი (დინამო), დანიელ სარიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), იურიცა ვრანიეში (ლევერკუზენი, გერმანია), ჟურკო ლეკო (დინამო);

*თავდამსხმელები:* ტომისლავ მარიჩი (ვოლფსბურგი, გერმანია), მლადენ პეტრიჩი (გრასჰოპერი, შვეიცარია), მარკო ბაბიჩი (ლევერკუზენი, გერმანია), ალენ ბოკშიჩი (მიდლსბრო, ინგლისი), ივიცა ოლიჩი (დინამო)



ბელგიელები სლოვებთან მატჩამდე ასეც ვარჯიშობენ

REUTERS

## ბელგია — ბულგარეთი

### ბელგია

*მეკარეები:* გერტ დე ფლიგერი (ტილბურგი, ჰოლანდია), ფრედერიკ ერპოლი (გენტი);

*მცველები:* გლენ დე ბუკი (ანდერლეხტი), დიდიე დედენი (აუსტრია, ავსტრია), ჟაკო პეეტერსი (გენტი), ტიმი სიმონსი (ბრიუგე), იოს ვალგაერენი (სელტიკი, შოტლანდია), დანიელ ვან ბუიტენი (მარსელი, საფრანგეთი), პეტერ ვანდერპიდენი (ბრიუგე), სტივ ერვენი (უტრეხტი, ჰოლანდია);

*ნახევარმცველები:* ვალტერ ბასეჯიო (ანდერლეხტი), კონ დაერდენი (გენკი), გაეტან ენგლებერტი (ბრიუგე), ბარტ გოორი (ჰერტა, გერმანია), მბო მპენზა (მუსკრონი), ბერნდ ტიისი (გენკი), ივ ვანდერეგე (ანდერლეხტი);

*თავდამსხმელები:* ემილ მპენზა (შალკე, გერმანია), ბობ პეეტერსი (ვიტესი, ჰოლანდია), უესლი სონკი (გენკი)

## ჰოლანდია — ბელარუსი

### ჰოლანდია

*მეკარეები:* ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), რონალდ ვატერეუსი (პსვ ეინდჰოვენი);

*მცველები:* ფრანკ დე ბური (მარსელონა, ესპანეთი), იაპ სტამი (ლაციო, იტალია), კევინ ჰოფლანდი (პსვ ეინდჰოვენი), პატრიკ პაუვე (ფეიენოორდი), მიხაელ რაიციგერი (მარსელონა, ესპანეთი), ფერნანდო რიკსენი (რეინჯერსი, შოტლანდია);

*ნახევარმცველები:* მარკ ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი), პოლ ბოსველტი (ფეიენოორდი), ფილიპ კოკუ (მარსელონა, ესპანეთი), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), რაფაელ ვან დერ ვაარტი (აიაქსი), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი), ანდი ვან დერ მეიდე (აიაქსი);

*თავდამსხმელები:* პატრიკ კლუივერტი (მარსელონა, ესპანეთი), ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (ჩელსი, ინგლისი), რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პიერ ვან ჰოიდონკი (ფეიენოორდი)


## ჰოლანდია — ბელარუსი

### ჰოლანდია

*მეკარეები:* ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), რონალდ ვატერეუსი (პსვ ეინდჰოვენი);

*მცველები:* ფრანკ დე ბური (მარსელონა, ესპანეთი), იაპ სტამი (ლაციო, იტალია), კევინ ჰოფლანდი (პსვ ეინდჰოვენი), პატრიკ პაუვე (ფეიენოორდი), მიხაელ რაიციგერი (მარსელონა, ესპანეთი), ფერნანდო რიკსენი (რეინჯერსი, შოტლანდია);

*ნახევარმცველები:* მარკ ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი), პოლ ბოსველტი (ფეიენოორდი), ფილიპ კოკუ (მარსელონა, ესპანეთი), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), რაფაელ ვან დერ ვაარტი (აიაქსი), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი), ანდი ვან დერ მეიდე (აიაქსი);

*თავდამსხმელები:* პატრიკ კლუივერტი (მარსელონა, ესპანეთი), ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (ჩელსი, ინგლისი), რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პიერ ვან ჰოიდონკი (ფეიენოორდი)


# ამხანაგური მატჩები. 6–7 სექტემბერი



კირონ დაიერს სამუნდიალო ტრავმა აქამდე გამოყვა და უპორტუგალიოდაც დარჩა

## ჩეხეთი — იუგოსლავია

### იუგოსლავია

*მეკარეები:* დრაგოსლავ ჟევრიჩი (ვიტესი, ჰოლანდია), იგორ დიმიტრიევიჩი (ობილიჩი);

*მცველები:* გორან ბუნიევჩევიჩი (ტოტენჰემი, ინგლისი), ზორან მირკოვიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), სინიშა მიხაილოვიჩი (ლაციო, იტალია), მლადენ კრსტაიჩი (ვერდერი, გერმანია), ნენად დჟოდიჩი (მონპელიე, საფრანგეთი), ბობან დმიტროვიჩი (გრაცერი, ავსტრია), ივიცა დრაგუტინოვიჩი (სტანდარდი, ბელგია);

*ნახევარმცველები:* ნიკოლა ლაზეტიჩი (კომო, იტალია), ოგნიენ კორომანი (დინამო, რუსეთი), დეიან სტანკოვიჩი (ლაციო, იტალია), პრედრაგ ჯორჯევიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ნენად ბრნოვიჩი (ზეტა), გორან ტრობოკი (პარტიზანი), იგორ დულიაი (პარტიზანი), ბორის ვაშკოვიჩი (სარტიდი);

*თავდამსხმელები:* სავო მილოშევიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი), მატია კეჟმანი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), მიხაილო პიანოვიჩი (ცრვენა ზვეზდა), ბოჟან ბრნოვიჩი (ზეტა)

## ინგლისი — პორტუგალია

### ინგლისი

*მეკარეები:* დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი), პოლ რობინსონი (ლიდსი);

*მცველები:* დენი მილსი (ლიდსი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), ეშლი კოული (არსენალი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), ჯონათან ვუდგეიტი (ლიდსი), უეინ ბრიჯი (საუთჰემპტონი);

*ნახევარმცველები:* ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი, გერმანია), დევიდ ბექჰემი (მანჩესტერ იუნაიტედი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), დენი მერფი (ლივერპული), ტრევორ სინკლერი (ვესტ ჰემი), ლი ბოიერი (ლიდსი), ნიკი ბათი (მანჩესტერ იუნაიტედი), დევიდ დანი (ბლეკბერნი), ჯო კოული (ვესტ ჰემი);

*თავდამსხმელები:* მაიკლ ოუენი (ლივერპული), ალან სმითი (ლიდსი), ემილ ჰესკი (ლივერპული)

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). გადადებული მატჩი

4 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 001 | ჰამბურგი(მ)-დინამო | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |

გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VIII ტური

4 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 012 | ერფურტი-აინტრახტი(მ) | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 013 | ერფურტი-აინტრახტი(მ) 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 21.00 | 014 | აალენი-კიკერსი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 22.00 | 015 | შვაინფურტი-დარმშტადი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 22.00 | 016 | ბაიერნი(მ)-რეგენსბურგი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 22.00 | 017 | აუგსბურგი-ზაარბრიუკენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 22.00 | 018 | ვეენი-ჰოფენჰაიმი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 22.00 | 019 | ფულენდორფი-ზიგენი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 22.30 | 020 | ოფენბახი-უნტერხახინგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

ინგლისი. I დივიზიონი. VII ტური

7 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 033 | უოტფორდი-უოლსოლი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 17.00 | 034 | როტერჰემი-რედინგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 035 | უენსდი-კრისტალ პალასი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 036 | უიმბლდონი-ლესტერი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 037 | დერბი-ბარნლი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 038 | დერბი-ბარნლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.00 | 039 | ჯილინგემი-პორტსმუთი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 040 | მილუოლი-ბრაიტონი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 19.00 | 041 | ნორვიჩი-შეფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 17.05 | 042 | ვულვერჰემპტონი-პრესტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,12 | 1,29 | 2,21 |

ინგლისი. II დივიზიონი. VII ტური

6 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 043 | ბრისტოლი-ნორთჰემპტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 23.45 | 044 | სტოკპორტი-პიტერბრო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 045 | მენსფილდი-ქუინზ პარკი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 17.30 | 046 | სუინდონი-პორტ ვეილი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 047 | კოლჩესტერი-ჩელტენემი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.00 | 048 | უიგანი-უიკომბი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 049 | ბლეკპული-ტრანმერი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 050 | ბრენტფორდი-ლუტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 051 | ქრიუ-ჩესტერფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 052 | ჰადერსფილდი-ბარნსლი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 053 | ნოტსი-ოლდემი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |

ინგლისი. III დივიზიონი. VII ტური

6 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 054 | დარლინგტონი-რექსემი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.45 | 055 | ბერი-იორკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.45 | 056 | კარლაილი-როჩდეილი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 057 | კიდერმინსტერი-ბოსტონი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 18.00 | 058 | ლინკოლნი-სკანთორპი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 059 | კემბრიჯი-ჰალი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 19.00 | 060 | ექსეტერი-ბორნმუთი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 061 | მაკლსფილდი-როვერსი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 062 | ოქსფორდი-ტორკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 063 | რაშდენი-საუთენდი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 064 | შრუსბერი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 065 | სუონსი-ჰარტლპული | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. VI ტური

4 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 066 | ბოვე-ისტრი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 067 | კაენი-კლერმონი | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 23.00 | 068 | შატორუ-გენიონი | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 23.00 | 069 | კრეტეი-ამიენი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 070 | ნანსი-ლავალი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 23.00 | 071 | ნიორი-ტულუზი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 23.00 | 072 | სტ. ეტიენი-ლორიანი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 23.00 | 073 | ვალანსი-გრენობლი | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 23.00 | 074 | ვალკეალი-რეიმსი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 23.30 | 075 | ლე მანი-მეცი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |

ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

8 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 076 | სპარტა-სიტარდი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |

ბელგია. II დივიზიონი. IV ტური

6 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 077 | გეელი-ინგელმუნსტერი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 18.00 | 078 | ჰეუსდენი-პატრო | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 080 | დაინცე-სტრომბეკი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 081 | რუსელარე-ვიგორი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 082 | დესელი-ტინენი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 083 | ეუპენი-ვარეგემი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 18.00 | 084 | დენდერლეუ-რონსე | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 18.00 | 085 | ლიექი-სერკლი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 20.30 | 086 | ვირტონი-ვიზეტი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |

შოტლანდია. ლიგის თასი. 1-ლი ეტაპი.

7 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 089 | ალბიონი-ჰამილტონი | 3,2 | 3,4 | 2,0 | 1,64 | 1,23 | 1,25 |
| 17.00 | 090 | მორტონი-სენტ მირენი | 3,2 | 3,4 | 2,0 | 1,64 | 1,23 | 1,25 |
| 17.00 | 091 | ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი | 1,85 | 3,4 | 3,5 | 1,19 | 1,21 | 1,72 |
| 18.00 | 092 | ბერიკი-არბროთი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 093 | ერდრი-ელგინი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 094 | გრეტნა-ისტ ფაიფი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,33 | 1,23 | 1,53 |
| 19.00 | 095 | ქუინი-ფორფარი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 19.00 | 096 | სტრანრარი-ბრეჩინი | 2,3 | 3,4 | 2,6 | 1,37 | 1,22 | 1,47 |

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური

7 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 097 | ნორვეგია-დანია | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 098 | ფარერის კუნძულები-შოტლანდია | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |
| 19.00 | 099 | რუსეთი-ირლანდია | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 20.00 | 100 | ავსტრია-მოლდავეთი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 20.00 | 101 | სომხეთი-უკრაინა | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 21.00 | 102 | ხორვატია-ესტონეთი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 21.00 | 103 | ფინეთი-უელსი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 22.00 | 104 | ლატვია-შვედეთი | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |
| 22.30 | 105 | კვიპროსი-საფრანგეთი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 22.30 | 106 | ლიტვა-გერმანია | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 22.30 | 107 | თურქეთი-სლოვაკეთი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 23.00 | 108 | სან მარინო-პოლონეთი | 16,0 | 8,0 | 1,05 | 5,33 | 1 | 1 |
| 23.00 | 109 | ბელგია-ბულგარეთი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 110 | აზერბაიჯანი-იტალია | 14,0 | 7,0 | 1,1 | 4,66 | 1,01 | 1 |
| 23.15 | 111 | სლოვენია-მალტა | 1,05 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,33 |
| 23.15 | 112 | ბოსნია-რუმინეთი | 3,2 | 3,0 | 2,2 | 1,54 | 1,3 | 1,26 |
| 23.30 | 113 | ჰოლანდია-ბელარუსი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 23.45 | 114 | საბერძნეთი-ესპანეთი | 3,2 | 3,0 | 2,2 | 1,54 | 1,3 | 1,26 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 19.00 | 115 | შვეიცარია-საქართველო | | | | | ანგარიში | - 5,0 |
| 20.00 | 116 | ლიხტენშტეინი-მაკედონია | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |

ამხანაგური მატჩები.

5 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 117 | ლუქსემბურგი-ისრაელი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 23.00 | 118 | ჩეხეთი-იუგოსლავია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 119 | ინგლისი-პორტუგალია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 23.00 | 120 | ისლანდია-უნგრეთი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო**

**ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48**

# საფრანგეთი. მეორე დივიზიონი. 2001-02. VI ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.09.02 | 23.00 | 066 | 2:0გრენობლი; გენიონი1:0; 0:2ლავალი ბოვე V ისტრი მეცი1:1; 3:1ნიორი; ლორიანი1:1 | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 | - | 2:0 0:0 | - | - |
| 04.09.02 | 23.00 | 067 | 0:2ტულუზი; ლავალი0:0; 0:0ნანსი კაენი V კლერმონი კრეტეი1:2; 0:2ვასკალი; ვალანსი1:0 | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 | - | - | - | - |
| 04.09.02 | 23.00 | 068 | ნანსი1:0; 0:4ვალანსი; კრეტეი2:0 შატორუ V გენიონი სენტ ეტიენი0:2; 0:1ბოვე; ვასკალი0:2 | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 | - | 0:2 [illegible] | [illegible] | [illegible] 1:1 |
| 04.09.02 | 23.00 | 069 | 2:1კლერმონი; გრენობლი0:0; 0:2შატორუ კრეტეი V ამიენი ვასკალი1:2; 0:1ნანსი; სენტ ეტიენი1:0 | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 | - | [illegible] | [illegible] | [illegible] 0:0 |
| 04.09.02 | 23.00 | 070 | 0:1შატორუ; ამიენი1:0; კაენი0:0 ნანსი V ლავალი ვალანსი1:2; 0:0კაენი; ბოვე2:0 | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 | - | 2:1 0:1 | 1:0 0:0 | - |
| 04.09.02 | 23.00 | 071 | 1:1რეიმსი; ისტრი1:3; 0:1გრენობლი ნიორი V ტულუზი კაენი2:0; 1:2ლე მანი; მეცი3:0 | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 | - | - | - | 1:1 1:1 |
| 04.09.02 | 23.00 | 072 | 2:0გენიონი; რეიმსი0:0; 0:1ამიენი სენტ ეტიენი V ლორიანი ლე მანი3:4; 1:2მეცი; 1:1ისტრი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 | - | - | - | - |
| 04.09.02 | 23.00 | 073 | 2:1ლავალი; შატორუ4:0; 0:1კლერმონი ვალანსი V გრენობლი ბოვე0:2; 0:0კრეტეი; ნიორი1:0 | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 | - | - | - | - |
| 04.09.02 | 23.00 | 074 | 2:1ამიენი; კლერმონი2:0; 2:0გენიონი ვასკალი V რეიმსი ნიორი1:1; 0:0სენტ ეტიენი; ლე მანი1:2 | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 | - | - | - | - |
| 05.09.02 | 23.30 | 075 | 4:3ლორიანი; ტულუზი2:1; 2:1რეიმსი ლე მანი V მეცი 1:1ისტრი; ლორიანი2:1; 0:3ტულუზი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 | - | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლე მანი (5) | | | 2:1 | 26.10 | 09.11 | | | 30.11 | | : | 18.12 | | | 21.09 | | | 05.10 | | | 3:1 | 5 | 5 | 0 | 0 | 12:6 | 15 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 | 3 | 0 | 0 | 7:4 | 9 |
| 2 | ვასკალი (15) | 28.09 | | | | | 18.12 | 09.11 | | 30.11 | | 1:1 | | | 19.10 | 14.09 | 2:0 | | : | | | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| 3 | ტულუზი (დ) | | 21.09 | | | | 26.10 | 2:0 | | 05.10 | 3:0 | | 11.09 | | | | 09.11 | | 18.12 | 30.11 | | 5 | 3 | 0 | 2 | 10:3 | 9 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 | 1 | 0 | 2 | 5:3 | 3 |
| 4 | ვალანსი (დ) | | 16.11 | 28.09 | | | 4:0 | | | 04.12 | 19.10 | : | 02.11 | | | | | 2:0 | | | 14.09 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| 5 | ბოვე ოა (7) | | 02.11 | 14.09 | 30.11 | | | | | | | | 19.10 | 28.09 | | : | 1:0 | 18.12 | | | 1:0 | 5 | 3 | 0 | 2 | 4:3 | 9 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| 6 | შატორუ (8) | 16.11 | | | | 1:0 | | | | 2:0 | | | | 02.11 | 04.12 | | 14.09 | 1:0 | 19.10 | 28.09 | : | 5 | 3 | 0 | 2 | 5:8 | 9 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |
| 7 | კაენი (6) | 02.11 | | | 3:1 | 04.12 | 4:1 | | 0:0 | | | | | | 16.11 | 19.10 | : | | 28.09 | 14.09 | | 5 | 2 | 2 | 1 | 7:4 | 8 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| 8 | სტადე ლავალი (10) | | 1:0 | 02.11 | 1:2 | 2:0 | 11.09 | | | | 16.11 | 28.09 | 04.12 | | | | | | 14.09 | | 19.10 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 9 | კრეტეი (18) | 19.10 | | | | 16.11 | | 18.12 | 1:1 | | | 0:0 | | 14.09 | 02.11 | 28.09 | | | | : | | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| 10 | მეცი (დ) | | 11.09 | | | 05.10 | 09.11 | 30.11 | | 26.10 | | | 21.09 | 2:1 | | | | | 0:0 | 18.12 | | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| 11 | გრენობლი (16) | | | 16.11 | | 0:2 | 21.09 | 11.09 | | | 04.12 | | 1:0 | | 1:0 | 02.11 | 05.10 | | | 19.10 | | 5 | 2 | 2 | 1 | 3:3 | 8 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 12 | სენტ ეტიენი (13) | 14.09 | 05.10 | | | | 30.11 | 26.10 | | 09.11 | | | | : | | 3:0 | 18.12 | | 0:0 | | | 5 | 2 | 1 | 2 | 5:2 | 7 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| 13 | ლორიანი (დ) | 3:4 | 26.10 | 1:0 | 18.12 | | | 05.10 | 09.11 | | | 30.11 | | | 11.09 | | | 21.09 | | | | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| 14 | შამუა ნიორი (11) | | | : | 09.11 | 26.10 | | | 18.12 | | 14.09 | | 28.09 | | | 1:3 | | 30.11 | | 2:0 | | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| 15 | ისტრი (17) | 11.09 | | 0:4 | 21.09 | | 05.10 | | 26.10 | | 1:1 | | | 1:1 | | | 30.11 | 09.11 | | | 18.12 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:10 | 5 | 0 | 2 | 1 | 2:6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| 16 | კლერმონი (დ) | 04.12 | | | 1:0 | | | | 21.09 | 1:2 | 28.09 | | | 19.10 | 1:1 | | | 11.09 | 16.11 | | 02.11 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| 17 | ნანსი ლორენი (9) | | 04.12 | 19.10 | | | | 0:0 | : | 2:3 | 02.11 | 14.09 | 16.11 | | | | | | | 1:0 | 28.09 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| 18 | რეიმსი (დ) | 1:2 | | | 05.10 | 11.09 | | | | 21.09 | | 09.11 | | 1:3 | 1:1 | 04.12 | | 26.10 | | | 30.11 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| 19 | ამიენი (12) | 0:1 | 1:2 | | 11.09 | 21.09 | | | 05.10 | | | | 1:0 | 04.12 | | 16.11 | 26.10 | | 02.11 | | | 5 | 1 | 0 | 4 | 2:6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| 20 | გენიონი (14) | | 0:2 | 04.12 | | | | 21.09 | | 11.09 | 0:2 | 26.10 | 0:2 | 16.11 | 05.10 | | | | | 09.11 | | 5 | 0 | 0 | 5 | 1:10 | 0 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


# კროკოს ბიუროთა მისამართები

| ქალაქი | მისამართი | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I° კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## We Are the Worlds!

მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდიანაპოლისი (აშშ)
29 აგვისტო – 8 სექტემბერი

*მართალია, მსოფლიოს მე-14 ჩემპიონატს მთავარი ხიბლი, მაყურებელი და ტრიბუნებიდან წამოსული ჟრიამული აკლია, მაგრამ თვითონ ჩემპიონატს უხმაურო არ ეთქმის, ხან ვინ დაიქუხებს და ხან ვინ, ძირითადად ლათინური გუნდები (და მათთან ანგოლაც) და ოკეანგაღმიდან უწყვეტლივ მოედინება ბობოლათა უფრო აღმოსავლელევროპელთა მარცხის ამბები. სენსაციებით უხვად შეკმაზულ პირველ ჯგუფურ ეტაპზე ნათლად წარმოჩნდა, რომ იუგოსლავია სრულყოფილი გუნდი ვერაა. იუგებს ვარსკვლავები არ აკლიათ, იქნებ ისინი ყველა სხვაზე მეტიც ჰყავდეთ (ამერიკელთა გარდა), მაგრამ მაინც წააგეს ჯერ ესპანეთთან და ახლა პუერტო რიკოსთან...*

# მაქვს პატივი...

## თავმდაბალმა პუერტო რიკომ იუგოსლავიას ძლევა შეჰკადრა



პუერტორიკოელი დანიელ სანტიაგო იუგოსლავიელთა კალათს დაიცხრა

## E ჯგუფი

თურქეთი • ესპანეთი • პუერტო რიკო
ანგოლა • ბრაზილია • იუგოსლავია

**პუერტო რიკო 85:83 იუგოსლავია**
**პუერტო რიკო:** სანტიაგო (31 ქულა, 10 მოხსნა), ორტისი (15)
**იუგოსლავია:** სტოიაკოვიჩი (26), იარიჩი (16), დივაცი (14)

**ესპანეთი 87:64 თურქეთი**
**ესპანეთი:** გასოლი (19), ანგულო (14), როდრიგესი (12)
**თურქეთი:** ოქური (17), თუნჩერი (12)

**ბრაზილია 85:80 ანგოლა**
ძირითადი დრო 74:74
**ბრაზილია:** მაჩადო (24), ა. ვარეჟაო (13 ქულა, 10 მოხსნა)
**ანგოლა:** ჟ. ვიტორიანო (22 ქულა, 13 მოხსნა), მუზადი (14), ლუტონდა (12)

„ბედნიერები ვართ, რომ იუგოსლავიასთან თამაშის საშუალება მოგვეცა — ამბობს პუერტორიკოელთა მწვრთნელი ხულიო ტორო — მე პირადად იუგოსლავიური კალათბურთის მოყვარული და იუგოსლავიელთა ფანი ვარ და ჩემთვის უდიდესი ჯილდო იყო მათთან ერთად ერთ მოედანზე ყოფნა. მე აგრეთვე „საკრამენტო კინგზის", დივაცისა და სტოიაკოვიჩის გუნდის ქომაგიც გახლავართ, ისევე როგორც მრავალი ჩემი თანამემამულე. ჩვენ ყველანი ვაცნობიერებთ, რომ რაკი იუგოსლავიას ვამარცხებთ, ესე იგი უმაღლეს დონეზე თამაში შეგვიძლია და ესაა ნამდვილი ბედნიერება".

რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, მწვრთნელის ენთუზიაზმსა და აღტკინებას არ უერთდებიან მისი შეგირდები. ასეთი მეტოქის ძლევა, დიახაც, გასახარი ამბავია, მაგრამ პუერტორიკოელი კალათბურთელები ამას არ გადაურევია. მათ უკეთ დაიჭირეს თავი, ვიდრე ცხოვრებაში პირველ გამარჯვებანახული ლლაპივით აფორიაქებულმა სენიორ ტორომ.

პუერტოელთა პირველი მექულეელიას აიუხო წინ იყურება, შორს ჰორიზონტზე უძლეველი ამერიკა მოჩანს: „ამერიკელები ჩვეულებრივი ადამიანები არიან. ჩინელებმა ეს სანახევროდ დაამტკიცეს. ჩვენი რიგი ჯერ არ მოსულა, ამერიკამდე ჩვენ სხვა თამაშები გვაქვს".

აიუსომ კიდევ ბევრი თქვა და ძირითადად დალაგებულად ილაპარაკა, მაგრამ მანამდე მთლად ასე მწყობრად ვერ ითამაშა. პირველი ჯგუფური ტურნირის სამ შეხვედრაში მან 90 ქულა მოინაგრა, იუგოსლავიელებთან კი ვერა მოუხერხა პრედრაგ სტოიაკოვიჩს და მისი მჭიდრო მეურვეობით შეჭირვებულმა ოდენ 11 ქულა მიაშველა თავისიანებს. კარიბელებს არც უმისოდ გასჭირვებიათ. აიუსომ არა და მეორე პუერტოელმა, ზორბა დანიელ სანტიაგომ კი აჯობა იუგოსლავიელთა სხვა ნბა-ელს ვლადე დივაცს. სანტიაგო მთელი მატჩის განმავლობაში იხვეჭდა ქულებს და საბოლოოდ 31 მოუგროვდა.

მაგრამ არც სანტიაგო ყოფილა მატჩის გმირი. ლათინოსებს 38 წლის ხოსე ორტისმა მოაგებინა, ვინაც პუერტოელებისთვის დაახლოებით იგივეს ნიშნავს, რასაც ნიკოს გალისი ბერძენთათვის და ოსკარ შმიდტი ბრაზილიელთათვის ნიშნავდნენ. ორტისი წინა ოთხ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიუძღოდა თავისიანებს და ახლაც ივარგა — ბოლო წამებზე 83:83 ანგარიშზე საჯარიმოების სროლის უფლება მოიპოვა და მართალია, მხოლოდ ერთი ჩააგდო, მაგრამ თავისი აცილებული თავადვე მოხსნა, შემდეგ კი მასზე ხელმეორედ დაჯარიმებულ სლავებს ერთი ჯარიმაც და მარცხიც უთავაზა.

კვლავ წააგეს თურქებმა, ამჯერად გაცილებით იოლად, ვიდრე წინა ორი პრინციპული შეხვედრა. ჩანს, ბრაზილიასთან და პუერტო რიკოსთან თეთრად გალეხილ შავტუხა აზიელებმა ყველაფერი თან, ამაოდ გაილეს. ამ მარცხით ჩვენმა დასავლელმა მეზობლებმა პრაქტიკულად დაკარგეს ჯგუფიდან გასვლის და მეოთხედფინალში თამაშის შანსი.

აღარ ხუმრობს ანგოლა. აფრიკის მარადი ჩემპიონები და შავი კონტინენტის გარეთ ყოველთვის და ყველაფრის წამგები ანგოლელები სულ ახლოს იყვნენ ნამდვილ გამარჯვებასთან და აქამდე წაუგებელი ბრაზილიის დაჩოქებასთან, მაგრამ ბედმა უმუხთლათ და ტრადიციული თუმც ამ ჯერზე ღირსეული მარცხით დაასრულეს მორიგი შეხვედრა.

აფრიკელებთან ჭიდილში ბრაზილიას ბედმა გაუღიმა და როჟერიუ კლაფკემ უშველა. ამ ჯეელმა მეოთხე მეოთხედის მიწურულს ანგოლელთა სამქულიან ხაზს გარეთ ჯარიმა აიკიდა და სამივე საჯარიმოს გამოყენებით ანგარიში 74:74 გაათანაბრა. მატჩი ოვერტაიმში გადავიდა და ბრაზილია მარცხს გადაურჩა. დამატებით დროშიც კლაფკემ თავიდანვე ორი საჯარიმო და ერთიც სამქულიანი ჩააგდო და აქამდე უძლეველი თავისი გუნდი E ჯგუფის ცხრილის კენწეროზე დატოვა.

**ირაკლი ფირცხალავა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | + 58 | 6 |
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | + 11 | 6 |
| პუერტო რიკო | 3 | 2 | 1 | + 1 | 5 |
| იუგოსლავია | 3 | 1 | 2 | + 46 | 4 |
| თურქეთი | 3 | 0 | 3 | - 27 | 3 |
| ანგოლა | 3 | 0 | 3 | - 88 | 3 |



ელტონ ბრენდის ამერიკამ რუსებს ნაღდი კალათბურთი ანახა

## F ჯგუფი

არგენტინა • გერმანია • რუსეთი
აშშ • ახალი ზელანდია • ჩინეთი

**ამერიკა 106:82 რუსეთი**
**ამერიკა:** პირსი (27), ა. მილერი (18), ა. დევისი (13)
**რუსეთი:** ზ. პაშუტინი (16), ავლეევი (11), ე. პაშუტინი (10)

**გერმანია 84:64 ახალი ზელანდია**
**გერმანია:** ნოვიცკი (17), ოკულაია (17), დემირელი (13)
**ახალი ზელანდია:** პენი (15), კემერონი (14)

**არგენტინა 95:71 ჩინეთი**
**არგენტინა:** პალადინო (14), სკოლა (13), ვოლკოვიცკი (12)
**ჩინეთი:** მენკე (13), ლიუ (12)

რუსეთმა კარგად იცოდა თავსა და მეტოქეს შორის ფარდობა და აკი უპრეტენზიოდ წააგო. ამერიკა რომ მოიგებდა, რუსებმა კარგად უწყოდნენ, თანაც ნბა-ში მოთამაშე ერთადერთი ვარსკვლავი, ანდრეი კირილენკო, დაშავებული ჰყავდათ. თუმცა ამერიკამ ძალები დაზოგა — რუსებს მხოლოდ 24-ქულიანი მარცხი აკმარა და არც გაემტყუნება, რადგან სხვა „ოქრომაძიებლები" ერთობ რიხიანად მიიბრძვიან მათკენ.

რუსულ ანუ საბჭოურ-ამერიკული სპორტული შუღლის ქრონიკები იანკ გულშემატკივარსაც გადაავიწყდა და მათთვის ყველაზე გასახარი ამბავიც რუსების იოლად ძლევა კი არა, ინდიანაპოლისელთა კერპ რეჯი მილერის მოედანზე გამოჩენა იყო. მილერი მეორე ათწუთეულის მიწურულს შევიდა თამაშში და თავისი ოსტატობა უმალ უჩვენა ხალხს — ნბა-ს სტანდარტებითაც კი შორი სამქულიანი ჩააგდო და, მანამდელი მატჩებისგან განსხვავებით, ამერიკელებს სოლიდური (54:44) ტაიმთშორისი უპირატესობა დაუბევა (გერმანიას და ჩინეთს ამერიკამ პირველი ტაიმი ქულით მოუგო). მერე კი ცნობილი კანონი ამოქმედდა — ამერიკელებმა მესამე მეოთხედში გაილალეს და ბოლო ათწუთეულში მეტოქეს წინააღმდეგობის გაწევის სურვილი დაუკარგეს.

რუსთათვის ქულების გროვების ერთადერთი ეფექტური საშუალება შორი სროლები იყო. ამ საქმეს თავიდან კარგად უძღვებოდნენ ძმები — ზახარ და ევგენი პაშუტინები. მაგრამ, როგორც ვთქვით, მესამე მეოთხედში რუსებს თამაშის მუღამი დაეკარგათ: პოლ პირსმა ძმებს უჩვენა, თუ როგორ უნდა სამქულიანების ჩაყრა და მათაც ამ საქმიდან ხელი აიღეს. ნამატჩევს პირსის თამაშით ჯორჯ კარლიც არ მალავდა კმაყოფილებას: „მეორე ტაიმი ღიდებულად ვითამაშეთ, პირსი კი ფანტასტიკური იყო. თუ ასე გააგრძელა, მას ვერავინ გააჩერებს".

გარდაუვალ წაგებას შეგუებულმა რუსთა თავკაცმა სტანისლავ ერიომინმა უკვე ამ მატჩისას დაიწყო მომდევნო შეხვედრაზე ფიქრი: „ამერიკელებთან რომ ვერაფერს გავხდებოდით, ნათელი იყო და ჩინელებთან მატჩზე ფიქრი აქედანვე დავიწყე. დღეს უფრო გამართულად ვითამაშეთ, ვიდრე არგენტინასთან და ახალ ზელანდიასთან, მომავალ შეხვედრასაც იმედიანად ვუყურებ".

ერიომინის ბიჭებს თუ მეოთხედფინალში სურთ თამაში, დარჩენილ მატჩებში ვინძლო მარტო ჩინელთა დამარცხებამ არ ეყოთ და ბოლო ტურში ნოვიცკის გერმანიის ძლევა დასჭირდეთ, რაც იოლი არ იქნება — გერმანელებმა ხომ გუშინ რუსთათვის ნიღბის ჩამომხსნელი ახალზელანდიელები მოინელეს. სხვაობა 20-ქულიანი არ იქნებოდა, „მაიამიში" ვლადიმერ სტეფანიას თანაგუნდელ შონ მარქსს გერმანელებთან ჯაჯგურში თვალი რომ არ დაეზიანებინა. ისე, მეოთხედფინალში გასვლის რუსებზე უკეთესი შანსი სწორედ ოკეანეთელებს აქვთ. ბოლო ტურში ჩინეთს მოუგონ და... თორემ მანამდე ამერიკას ხვდებიან და მარცხი გარანტირებული აქვთ.

და ბოლო შეხვედრაც: არგენტინამ იაო მინგის ჩინეთს ინდიანაპოლისში ყველაზე მწარე მარცხი აგემა და ოქროსთვის ჭიდილში ამერიკელთა მთავარმეტოქედ თუ არ გადაიქცა, ამ იარლიყმიკერებულ იუგოსლავიელებზე მყარი იმიჯი უეჭველად შეიქმნა.

არგენტინელები აქამდე სულ ტანგოს ცეკვით მოვიდნენ: ყველას მოუგეს და თვით მასპინძლებზე მეტი ქულაც ჩააგდეს. მათი შემჩერებლები, ვერ შეიქნენ ჩინელი გოლიათები — 226-სანტიმეტრიანი იაო და 211-იანი მენკე. სიმაღლეზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ არგენტინელებს ყველაზე მეტად ცენტრის პრობლემა აწუხებთ, თორემ უკანა ხაზი ისეთი მკვირცხლი და მოქნილია, ზოგიერთ ნბა-ს კლუბს თუ არ გააოცებს, დასაკუთრებას მაინც გადააწყვეტინებს.

დღეს არგენტინა გერმანიისგან გამოიცდება, ხვალ კი ბევრად სერიოზული ამერიკა ელის.

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | +70 | 6 |
| აშშ | 3 | 3 | 0 | +60 | 6 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | +15 | 5 |
| ახ. ზელანდია | 3 | 1 | 2 | -38 | 4 |
| რუსეთი | 3 | 0 | 3 | -52 | 3 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 3 | -55 | 3 |

**პლეი ოფი მე-13-მე-16 ადგილებისთვის**

**ვენესუელა 98:83 ალჟირი**
**ვენესუელა:** დიასი (29), ტორესი (20), ლუგო (17)
**ალჟირი:** ბენრამდანე (29), ბუჰედირი (21)

**კანადა 91:67 ლიბანი**
**კანადა:** ბარეტი (18), კარანგვა (18), როუზი (17)
**ლიბანი:** ფოგელი (19), მაკპანტაფი (12)

### ვაჟები
### მესამე წრე

ტომი ჰაასი (3, გერმანია) — ტომას ენქვისტი (29, შვედეთი) 6:4, 3:6, 3:6, 6:4, 6:4; ხუან იგნასიო ჩელა (26, არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი) 6:3, 6:3, 6:2; ფერნანდო გონსალესი (28, ჩილე) — ხუან კარლოს ფერერო (7, ესპანეთი) 6:4, 6:4, 6:4; ენდი როდიკი (11, აშშ) — ალექს კორეჩა (18, ესპანეთი) 6:4, 6:1, 7:6 (8:6); პიტ სამპრასი (17, აშშ) — გრეგ რუზეცკი (33, ბრიტანეთი) 7:6 (7:4), 4:6, 7:6 (7:3), 3:6, 6:4; სხენგ შალკენი (24, ჰოლანდია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 7:5, 6:3, 3:6, 6:1; გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:1, 5:4 (მასუმ შეწყვიტა); არნო კლემანი (საფრანგეთი) — გილერმო კორია (არგენტინა) 2:6, 6:2, 7:5, 7:6 (7:5)

### მეოთხე წრე

ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:4, 6:2, 7:5; ანდრე აგასი (6, აშშ) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 6:2, 6:3, 6:3; მაქს მირნი (32, ბელარუსი) — როჯერ ფედერერი (13, შვეიცარია) 6:3, 7:6 (7:5), 6:4; იუნეს ელ აინაუი (20, მაროკო) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 3:6, 7:5, 7:5, 7:6 (7:3)

### ქალები
### მეოთხე წრე

ამელი მორესმო (10, საფრანგეთი) — კიმ კლაისტერსი (7, ბელგია) 4:6, 6:3, 7:5; ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:1, 6:3; დანიელა ჰანტუხოვა (11, სლოვაკეთი) — ჟუსტინ ენენი (8, ბელგია) 6:1, 3:6, 7:6(7:4); ლინდსი დევენპორტი (4, აშშ) — სილვია ფარინა ელია (13, იტალია) 6:3, 6:1; ელენა ბოვინა (რუსეთი) — ფრანცისკა სკიავონე (იტალია) 7:6 (7:4), 6:4;

## ჩაიხედე შენს გულში, გრეგ!

პიტისა და რუზეცკის წინა 9 შეხვედრიდან 8-ში 13-გზის მესლემტიტულეს ეპარჯვა. მაგრამ, ჯერ ერთი და, ის აღარც დიადი ელინოამერიკელია, მის საზეო წლებში რომ გახლდათ, ხოლო მეორეცაა და ზორბა ბრიტანელი, რომელსაც მსოფლიოში უძლიერესი მოწოდება აქვს, ტურნირის 1997 წლის ფინალისტია და ამჟამად ვინძლო კარიერის ყველაზე შთამბეჭდავს თუ არა, არც ძალიან ნაკლებ ჩოგბურთს თამაშობდეს. სხვა თუ არაფერი, მან ინდიანაპოლისში წლის მეორე ტიტული მიითვალა და ერთი, 8-მოგებიანი საივლისო სერიისას მიჯრით სძლია რეიტინგსიის მეპირველეებს — ლეიტონ ჰიუიტს, მარატ საფინსა და ტომი ჰაასს.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ — საჩოგნეთი დიდი რამ დაგნარის მოლოდინში იყო და ასეც მოხდა. ლუი არმსტრონგის სახელობის ცივ და ნესტიან კორტზე მოქუჩებულმა ლიანგმა ორი კლასიკური „მოაწოდე-მიეძალე" მეჩოგნის ლალი და ჯანიანი განდაგანა იხილა. განდაგანა, რომელშიც უფრო ძლიერი მაინც უფრო ტიტულოვანი გამოდგა.

მართალია, რუზეცკიმ ჯამში 19 ეისი მოაგროვა, მაგრამ მასზე არანაკლებ მეეისე პიტმა მას საქულე დარტყმათა რაოდენობით (81) აჯობა. გადამწყვეტადაც სწორედ ეს გარემოება მიიჩნიეს. თუმცა კარიერის განმავლობაში 12



ანდრე აგასი



რიჩარდ უილიამსი

# ცხოვრება სიზმარია
## მამა რიჩი მკვლელობით იმუქრება

*შაბათიდან წამოსულმა წვიმამ ერთი სათამაშო დღე რომ წამურდლა, ორშაბათს მეორე დღის წასამურდლადაც გაიქაჩა. ბედად — ნიუ იორკის თავზე მორღვეული ღრუბლიონი სალამოსკენ გადაიყარა და მეჩოგნეები კვირას დაწყებულ და ეგრეც მოუმთავრებელ მატჩებს მიუბრუნდნენ. უმთავრეს ინტერესს ოთხგზის ჩემპიონ პიტ სამპრასისა და მისი ბრიტანელი მოცილის, ახმახი გრეგ რუზეცკის შეხლა ინვევდა. საკვირაო ნალექმა მათ მაშინ გააწყვეტინა, როცა ანგარიში 4:5 იყო...*

ტიტულის მომნაგვრელმა ცაცია ბრიტმა ნამატჩევს სამპრასისთვის გამარჯვების ჩაშხამება მოინდომა და განაცხადა, რომ ამჟამინდელი პიტი მხოლოდ ულიმლამო და უფერული ვერსიაა წლების განმავლობაში კაცთა მეუსტაბაშე ლეგენდისა.

„სიმართლე თუ გნებავთ, ეს მატჩი მან კი არ მოიგო, მე წავაგე — აი, ეგრე ენამრუდობდა რუზეცკი — ძალიან გამიკვირდება, შემდეგ შეხვედრაში ტომი ჰაასის დამარცხებას თუ შეძლებს. იგი ძალიან ნელა მოძრაობს, აღარც დარტყმები უვარგა, ადრე რომ არ გყავდეს ნანახი, გაიკვირვებდი კიდეც — ნუთუ ესაა ის კაცი, დიდი სლემის 13 ტურნირი რომ მოიგო... მაინც რატომ წავაგე? ეტყობა, დღემდე საჭიროზე მეტი პატივისცემით ვეპყრობი, კი, კარგი მოთამაშეა, მაგრამ ისეთი დიადი უკვე აღარაა, მის გატყეპვას ერიდებოდე. მოკლედ — მატჩი მისადმი არაადეკვატური მოკრძალების გამო დავთმე"...

სამპრასი რომ ისე დამთრგუნველად ველარ ჩოგნაობს, როგორც გაგანია 90-იანებში ჩოგნაობდა, თავად სამპრასზე უკეთ ალბათ არავინ უწყის, მაგრამ მასთან დამარცხება „ზედმეტ პატივისცემას" დააბრალო, მაინც რაღაც არაგულწრფელობას უნდა ჰგავდეს.

ეტყობა, ღირსეულად წაგებასაც რაღაც მძლავრად მოწოდებაზე მეტი სჭირდება — ვთქვათ, ერთი ფიორა პატიონნება...

ახლა სხვა შეხვედრებს რაც შეეხება...

### ცხოვრება სიზმარია

თუკი 31 წლის პიტს ყოველი მორიგი დაბრკოლების გადალახვა უფრო მეტ ძალისხმევად უჯდება, მისი სიყრმის მოცილე და მასზე წლით უფროსი ანდრე აგასი მეოთხედფინალში ისე შეპარპაშდა, გზად ერთი სეტიც არ დაუთმია!

ჯალოანდრანიკმა ამჯერად 25 წლის თვისტომ ჟან-მიშელ გემბილს გადაუარა. ეს ის გემბილია, მეორე წრეში ბრწყინვალე ფორმაში მყოფ კარლოს მოიას (9) რომ გაუსწორდა, მესამიდან გასტონ გაუდიო (21) რომ აოტა და მეტოქეებს აგასიზე ნაკლები, 11 გეიმი მოაგებინა.

ტურნირის ორგზის ჩემპიონმა იგი საათსა და 41 წუთში დააოკა.

„მის მოწოდებას ვეკონწიალებოდი — ასე განმარტავდა თავის გამარჯვებას შტეფის მეუღლე — ვცდილობდი, მის მოწოდებაზე ბევრი მეთამაშებინა, რადგანაც თავის წარმატებას ის ძირითადად სწორედ თავის გეიმებში უბრძოლველად მოგებულ ქულებს აყრდნობს. ვფიქრობ, ჩანაფიქრი კარგად გამომივიდა, მით უფრო, რომ საკუთარი მოწოდებაც არ გამიცუდებია. საერთოდ კი რა გითხრათ — თავადაც ხედავთ, ჯანმრთელი ვარ, მიხარია, რომ ვარსებობ და ცხოვრებას, როგორც მშვენიერ სიზმარს, ისე განვიცდი... მეოთხედფინალში გასვლა არაჩვეულებრივია და ახლა მხოლოდ იმაში უნდა დავირწმუნო თავი, რომ მეტის გაკეთებაც შემიძლია".

ნახევარფინალის მიჯნასთან ჯარასავით მობზრიალე აგასი ახმახ და ნიჭიერ ბელარუს მაქს მირნის შეხვდება, რომელმაც იმ დღეს მე-13 ნომრად განთესილი როჯერ ფედერერი დასცა. მოულოდნელობათა ამბები აქვე რომ ამოვწუროთ (თუმცა ბოლო დროს უჯიგროდ და უნიათოდ მოთამაშე ფედერერის მარცხს მოულოდნელობა შეიძლება არც დაერქვას), ბარემ ისიც დავამატოთ, რომ ჩილელმა ფერნანდო გონსალესმა (28) ხუან კარლოს ფერეროს (7) სძლია, ხოლო ხუან იგნასიო ჩელამ (26) ტიმ ჰენმანს (5) აბარგებინა.

მხარმტკივანმა ბრიტანელმა 42 უნებლიე შეცდომა დაუშვა, ხუთჯერ ორმაგად მიჰქარა და მეტოქისითვის გეიმის წართმევის 5 შესაძლებლობიდან ერთის გამოყენებაც ვერ მოახერხა. ჰოდა, ამიტომაც იყო — მანამდე ერთი სეტიც რომ არ წაეგო, ერთ ჯერზე უმალ სამი „ჩააბარა".

ჯეიმს ბლეიკთან წინა წრეში ნახუთსეტარი ბულრაობა არად დაიტყო და მორიგი მეტოქე კვლავ სეტისწაუგებლად დაჩოგნა კაცთა ამქრის ამჟამინდელმა ყოჩმა ჰიუიტმა. ჩეხი ირჟი ნოვაკი მას მხოლოდ მესამე სეტის მიწურულს გაედავა, როცა ოზი მატჩის მოსაგებად აწოდებდა — 5:5. მაგრამ ჰიუიტს გეიმის უკუგება არ გასჭირვებია (6:5) და მორიგი გეიმით უკვე მეოთხედფინალშიც შეალაჯა.

თითქმის ასეთივე სცენარით წარიმართა ენდი როდიკისა (11) და ალექს კორეჩას (18) სამსეტიანი ბურთაობაც. აქაც წამგებმა მოთამაშემ მომგებს თანაბარი ბრძოლა მხოლოდ უკანასკნელ სეტში შესთავაზა, მაგრამ ჭაბუკი ამერიკელი ტაიბრეიკზე უკეთ გაირჯა და ამერიკელთა შეთხელებულ რიგს კიდევ ერთი მეომარი დაუნარჩუნა.

მატჩის განმავლობაში ენდიბიჭმა მხოლოდ 19 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაიც მან მშვენიერ შედეგად მიიჩნია. თუკი სეტში 6 შეცდომაზე მეტს არ ვუშვებ, ესე იგი, ყველაფერი რიგზეაო, დაახლოვებით, აი, ასე მსჯელობდა.

და ბოლოს — თუკი ტომი ჰაასს (3) მეოთხე წრეში მოსახვედრად მორიგი 5-სეტიანი ომის გადახდა მოუხდა, ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა იქ ლამის უშრომლად შეაღწია, რადგანაც მისმა მეტოქემ კორტი ტრავმის გამო დროზე ადრე დატოვა. ნიკოლას მასუს თავი ძველმა ტრავმამ შეახსენა.

მესამე ნომრად განთესილი გერმანელი კვირის შემდეგ 6:4 იგებდა, მაგრამ ნაწვიმარზე შველმა უმალ ორი სეტი წაჰგვარა და მატჩის გადასარჩენად კიდევ ერთი საათი აჭიდავა. სტატისტიკის თანახმად ენკვისტმა ჰაასზე ნაკლები შეცდომაც დაუშვა და მეტი მომგებიანი ბურთიც მიითვალა, მაგრამ მათ ომში ყველაფერი იმან გადაწყვიტა, რომ ფავორიტი გადამწყვეტ მომენტებში უფრო დამაჯერებლად თამაშობდა.

### დანიელას ცერა თითი

სანამ საკვირაო წვიმა დასცხებოდა, გრძელფეხა სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვა (11) რანგით აღმატებულ ჟუსტინ ენენს (8) უპრობლემოდ და დარდიმანდად უსწორდებოდა — 6:1, 2:1. მაგრამ მაშინ, როცა მას უკანასკნელი ქულა უნდა მოეგო და სხვაობა ორ გეიმამდე აეყვანა, კორტის კიდეზე მოსრიალდა და ძირს გართხმულმა მარჯვენა ხელის ცერა თითი იტკინა...

მეორე დღეს მატჩის მოსამთავრებლად გასული ბელგიელი თითშეხვეულ მეტოქეს მედგრად ეტაკა და დანიელამ აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრო, თამაში გადამწყვეტ სეტში რომ გადავიდა.

იქ კი სლოვაკი ყმაწვილგოგო გამმაგდა — სახვევი გაიძრო და ციდა მეტოქეს ისეთი მძლავრი, მრისკავი დარტყმებით მიეძალა, რომ ამ უკანასკნელს კორტის ერთი კუთხიდან მეორემდე ბითურად ძუნძულის მეტი არაფერი დარჩენოდა.

ყველაფერი ტაიბრეიკზე გაირკვა, რომლის მოგებამაც აქამდე ვერცერთი სლემტურნირის მეორე წრის გაღმა ვერგამღწევ გოგოს სამეოთხედფინალო საგზური მოუხვეჭა.

სხვაფრივ — ჟუსტინის კვალს მიჰყვა მისი თვისტომ-დაქალი კიმ კლაისტერსიც (7), რომელმაც ზედიზედ მეორე სამსეტიან პაექრობას ველარ გაუძლო და ამელი მორესმოს (10) შემოემარცხა. მათმა ოფლიანმა და ხათქუნა განდაგანამ საათსა და 40 წუთს გასტანა.

ჯენიფერ კაპრიატიმ (3) და ლინდსი დევენპორტმა (4) კი თავ-თავიანთი პრობლემები ორ-ორ სეტშივე მოაგვარეს. ჯენიმ, რომელმაც ოთხ მატჩში მხოლოდ 14 გეიმი წააგო, აშშ-ის ზედიზედ მე-16 ღია პირველობაზე მოთამაშე ემი ფრეზერი 53 წუთში გააძევა, ლინდსიმ კი სილვია ფარინა ელიას გაბუნძურებას წვიმის გამო ორი დღე კი მოანდომა, ოღონდ ამ ორი დღის განმავლობაში მხოლოდ 57 წუთი იბურთავა. მეოთხედფინალამდე მან ჯენიზე სამი გეიმით მეტი დათმო.

ნამატჩევს გოგონები ძირითადად წვიმიანობისა და ამის გამოისობით არეულ განრიგზე ბუზღუნებდნენ.

სულ ბოლოს კი კვლავ ალბრეხტ შტრომაიერსა (კაცზე, რომელიც სერენა უილიამსის დევნისათვის კვირას ნიუიორკის ერთ-ერთ საპყრობილეში ჩააყუდეს) და მის მიმართ შავდათა მამა რიჩის დამოკიდებულების შესახებ.

როგორც გუშინ გაირკვა, გაიძვერა რიჩარდი მისი ასულის მდევარს მოკვლით ემუქრება: „გული მიგრძნობს, ეგ ბიჭი არ დაწყნარდება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყველაფერი ტრაგედიით უნდა დასრულდეს... მაგან რომ ჩემს გოგონებს რამე დაუშავოს, ვინ გამაჩერებს, ეგ არ მოვკლა? მსოფლიოს ყველა პოლიციელმა რომ დამიშალოს, მაინც ვერ გამაჩერებენ".

„ეგ ბიჭი ნაღდად შეშლილია. ეგეთი ტიპები კი წესიერად ვერ აზროვნებენ და ყველანაირი სისულელის გამკეთებლები არიან".

მამა რიჩის პასუხად გუშინდელი გაზეთები შტრომაიერის მამის, „გადამდგარ" ბანკირ ერიხ შტრომაიერის სიტყვებსაც ავრცელებდნენ: „ჰო, ჩემს ბიჭს სერიოზული მენტალური პრობლემა აქვს. იგი გიჟდება სერენასთვის... რამდენჯერ მითქვამს, ალბრეხტ, სერენას შენ ფეხებზე ჰკიდიხარ, მაგრამ არაფერი შველის. ან არ ესმის, ან გაგება არ უნდა. თუმცა, ცუდი ბიჭი ნაღდად არ არის და გარწმუნებთ, სერენას ის არაფერს დაუშავებს".

ვნახოთ — მამებს შორის შავი და თეთრი მომავალში გამოჩნდება.

**ლევან ძელაურაძე**



დანიელა ჰანტუხოვა





ძლევამოსილნი: პიტ სამპრასი და გრეგ რუზეცკი

REUTERS ნიუ იორკიდან

*მძლეოსნობის სამყაროში იშვიათად როდი შეხვდებით ათლეტებს, რომელთაც ყველა რანგის და მასშტაბის შეჯიბრი მოუგიათ და თავიანთ დისციპლინაში დანარჩენთ ერთი თავით აღემატებიან. გამორჩეულთა შორის გამორჩეული და სამძლეოსნო სამყაროს კოლორიტული ფიგურაა კარიერაშივე ლეგენდად ქცეული ბრიტანელი სამმხტომელი ჯონათან ედვარდსი. მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი, უამრავი ოფიციალური თუ კომერციული ტიტულის მომგები ბრიტი კარიერის დაისზეც ჯეირანივით ხტის და თუმც წლეულს მიუნხენის ევროპირველობაზე დასანანი მარცხი განიცადა, მხნეობა მაინც შეინარჩუნა. იგი ყველა გამარჯვებისთვის ღმერთს მადლობას სწირავს და კვირას, ღმერთის კუთვნილ დღეს ასპარეზობაზე ისევე ამბობს უარს, როგორც 10-15 წლის წინ. ედვარდსი ახლაც ხალისით იძლევა ინტერვიუებს, ამ უქმეებზე ოქროს ლიგის ბრიუსელურ ეტაპზე გამოსვლის წინ ჟურნალისტებისთვის მოიცალა და ზოგიერთი ჩვენებური ცრუვარსკვლავივით თავის სიტყვას ოქროს წონა არ დაადო. ინტერვიუ მონოლოგის სახით ჩაიწერა და ჩვენც ამ ფორმით ვთავაზობთ მკითხველს*




# რწმენის ბილიკი

## ღვთისმოშიშმა ჯონათან ედვარდსმა წაგების შიში განაგდო

— **დიდი** ხნის წინ, 1987 წელს, გადავწყვიტე რომ კვირაობით არ ვიხტომებდი, არა იმიტომ, რომ დიადი სამმხტომელი ვიყავი. კვირა ღვთისაა და მეც ღმერთს ვუთმობ ამ დღეს. რელიგია კვლავ რჩება ჩემთვის მოტივაციის მთავარ ფაქტორად. ღმერთის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა შესაძლებლობების მაქსიმუმის გაღებას მავალდებულებს. ახლა, კარიერის მიწურულს, ეს შინაგანი ვალდებულება ოდნავ შესუსტდა, მაგრამ ვცდილობ, ჩემი საქმის მიმართ ფოკუსი არ დავკარგო.

ჯერ საბოლოოდ არ გადამიწყვეტია, როდის დავასრულებ კარიერას, შესაძლოა, 2004 წლამდე, ათენის ოლიმპიადამდე დავრჩე სპორტში. ახლა მხოლოდ ერთს ვიტყვი, თუ ათენამდე დავრჩი, ეს იქნება ჩემი კარიერის ბოლო წერტილი, თუმც ახლა ამაზე არ ვფიქრობ. არც ამაზე დავფიქრებულვარ სერიოზულად, თუ რას გავაკეთებ კონკრეტულად ჩემი ცხოვრების მომდევნო 20 წელიწადში.

სხვანაირად არ გამიგოთ, როდესაც ბილიკის თავში ვდგავარ, არ მინდა, იმ ჭკუაარეული იდიოტივით გამოვიყურებოდე, რომელსაც სპორტიდან დროული წასვლა დავიწყებია. ესეც მაქეზებს ინტენსიური ვარჯიშისკენ. ვცდილობ, ფორმა არ დავკარგო. აქ ბევრი რამ წინასწარ განსაზღვრულია — თუ შემოდგომაზე იშრომებ, შედეგს ზაფხულში მიაღწევ. აუცილებელია, თავიდანვე შეიმუშაო გრძელვადიანი გეგმა და თუკი სპორტსმენს იმედი აქვს და ვარჯიშის ნებისყოფა არ აკლია, შეიძლება, ბევრს მიაღწიოს. მე ვამბობ სიტყვა „იმედს", რადგან უეჭველი არაფერია. ძველებურად ინტენსიურად ვვარჯიშობ. მე და ჩემი მწვრთნელი მივძუნძულებთ, თან დროს ვატარებთ, ვსაუბრობთ ფეხბურთზე, ათას რამეზე. მე კვლავ მომწონს ცხოვრების ასეთი რიტმი.

ხანგრძლივ კარიერაში აღმასვლასთან ერთად ხშირად მქონდა ჩავარდნები. თვალი გადავავლოთ ბოლო წელიწადს — როდესაც ყველა ფიქრობდა, რომ მე ყველაფერს მოვიგებდი, მაშინ დავმარცხდი, მიუნხენში. ერთის მხრივ ეს კარგიცაა, რადგან ნათლად გამოჩნდა, რა მყიფეა ხიდი წარმატებებისკენ.

ისევ გავაგრძელებ აქტიურ კარიერას, ვფიქრობ, ჩემს საქმეში კვლავ საუკეთესო ვარ და არა მგონია, ვინმე ჩემზე შორს ხტებოდეს. მიუნხენში ცუდად გამოვედი. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა — საკვალიფიკაციო ეტაპზე მსუბუქად დავშავდი. გარდა ამისა, ჩემპიონატის გრაფიკში გაუთვალისწინებელი ცვლილება მოხდა და წავაგე, რაც იმ დროს ჩემთვის უდიდესი იმედგაცრუება იყო. მაშინ ვუთხარი თავს, „ჰეი, ჯონ, შეეცადე, ამოიგდო ეს თავიდან". ტრიბუნებზე ავხედე გოგონებს, რომლებიც ჩემს სახელს გაიძახოდნენ და მამხნევებდნენ. მაშინ გავიფიქრე, რომ თუკი მე, ვისაც ამდენი დიდი ტურნირი მომიგია, ამ წაგებამ დამთრგუნა, მაშ, რისთვის ვწვალობდი მთელი კარიერის განმავლობაში?

ჩემპიონატის შემდეგ ჰაიკე დრექსლერს ვესაუბრე ამ თემაზე. თავის მხრივ მასაც მანამდე სერგეი ბუბკასთან უსაუბრია, ვისაც მისთვის უთქვამს — დეპრესიისგან და იმედგაცრუებისგან თავის დაღწევის ყველაზე უებარი წამალი ღიმილია, ერთმა წაგებამ არ უნდა წაგართვას მომავალი გამარჯვებების სიხარული, ამიტომ საქმის კეთება ძველებურად უნდა გააგრძელო.

ვფიქრობ, ცხოვრების აზრიც ესაა, მიიღო სიამოვნება ყველაფრისგან, რასაც აკეთებ. ამის გააზრების შემდეგ გასხივოსნდა ჩემი გონება.


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

*საქართველოს ნაკრების ნევრი მამუკა მაგრაქველიძე გუშინ ქალაქ ბრივის პროკურატურაში დაკითხეს. „ბრივის" მორკინალს აკრძალული პრეპარატების უკანონო ტრანსპორტირებაში მონაწილეობა ბრალდება. მაგრაქველიძეს ერთი საათი დასჭირდა ჩვენების მისაცემად და თავისი ვერსიის მოსაყოლად. ქართველ მორაგბეს ახლდა ვეტერანი ფრანგი მორაგბე, ბრიველი მიშელ იაშვილი, ბორჯღალოსანი გრეგუარის მამა, ყოფილი პოლიციელი.*

*გუშინ საფრანგეთში დავუკავშირდით საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს, რომელიც თავიდანვე თვალყურს ადევნებდა ძიებას*

# მაგრაქველიძის ვერსიას პროკურატურა ერთი საათი ისმენდა

## ქართველებმა ფრანგები ჩააჩუმეს

— მაგრაქველიძე დილით მივიდა პროკურატურაში და ჩვენებები მისცა. მისი მონათხრობი ვერსია საქმეში ჩადეს. რაც მთავარია, მამუკას სტიმულატორების შენახვა-გასაღება ან მოხმარება არ დაუმტკიცდა. მისი სისხლი სუფთაა. ახლა უფრო ადვილია თავის გამართლება. მითუმეტეს, მამუკას სასარგებლოდ ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი მეტყველებს.

**— მაგრაქველიძის ვერსია როგორია?**

— დაწვრილებით არ ვიცი, რადგან პროკურატურა საქმის მასალებს ასაიდუმლოებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მაგრაქველიძემ პროკურორს უთხრა, რომ არ იცის, ვინაა ამანათის გამომგზავნი და სტიმულატორები მას არ ეკუთვნოდა. იგი ფიქრობს, რომ ვიღაცა ძველი წყენის გამო ანგარიშს უსწორებს და ამას ასეთი მეთოდით აკეთებს. სანამ დაკითხვაზე შევიდოდა, მიშელ იაშვილს პირისპირ დაახლოებით ერთი საათი ელაპარაკა. მიშელმა თქვა, სავსებით თავდაჯერებული იყო და თავისი ვერსია ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჩამოაყალიბაო. თვითონ მაგრაქველიძეც დარწმუნებულია, რომ გაამართლებენ. გამოძიება 3-4 დღეში დასრულდება. გამოძიების პასუხს ველოდებით ჩვენც, საფრანგეთის რაგბის ფედერაციაც და მაგრაქველიძის კლუბი „ბრივიც". მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვეტთ, დაისაჯოს თუ არა მამუკა.

**— ამანათის გამომგზავნი ხომ არ დადგინდა?**

— პროკურატურა კონკრეტულ ინფორმაციას ჯერ არ ახმაურებს. მხოლოდ ის ვიცით, რომ ანდორის პოლიცია საქმეშია ჩართული და ალბათ გამომგზავნსაც მიაგნებენ. სხვა ახალი ჯერჯერობით მხოლოდ გამოძიებისთვისაა ცნობილი.

**— საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ რომ მოითხოვა, აქ მოთამაშე ქართველები დოპინგ-ტესტზე უნდა შევამოწმოთო, ეს საქმე როგორღაა?**

— საქართველოს ნაკრების ოცამდე ლეგიონერმა თავ-თავიანთ კლუბებში უკვე გაიარა დოპინგ-ტესტი. არავინ ჩავარდნილა. ახლა დანარჩენებიც ჩააბარებენ სისხლს. მას მერე, რაც მაგრაქველიძეს დოპინგის მოხმარება ვერ დაუმტკიცეს და სხვებიც სუფთები არიან, აქაური პრესა და ტელევიზია მიჩუმდა, თორემ მანამდე შეგვიკლეს, რას აღარ გვაბრალებდნენ...

**ბაჩო სვანიძე**



ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო

მამუკა მაგრაქველიძეს ფრანგული წნეხი უმსუბუქდება

# გაკოჭილმა კუპრაშვილმა აზიიდან ევროპაში გაცურა

**თბილისელმა** ჰენრი კუპრაშვილმა აზიიდან ევროპაში გადაცურა. ამ 56 წლის კაცმა ეს ორი კონტინენტი პარასკევს დარდანელის სრუტეში ცურვა-ცურვით დაუკავშირა ერთმანეთს.

დარდანელი პირველად ინგლისელმა პოეტმა ჯორჯ გორდონ ბაირონმა გადაცურა.

ბაირონი, მოგეხსენებათ, კოჭლი იყო, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია სრუტის ყველაზე ვიწრო, თითქმის კილომეტრნახევრიანი მონაკვეთის გადასაცურად. მას მერე აქ ევროპა და აზია ცურვა-ცურვით არაერთმა დააკავშირა, მაგრამ მისი ხელფეხშეკრულად დაძლევა აზრადაც არავის მოსვლია. ჰენრი კუპრაშვილს ამგვარი აზრი კარგა ხანია, არ ასვენებდა და საამისოდ თბილისში, „ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსში ემზადებოდა კიდეც.

მან თავისი უპრეცედენტო გაცურვის ადგილად ტროას ნანგრევებიდან ორმოცდაათიოდე კილომეტრით დაცილებულ პატარა ქალაქ ჩანაკალესა და ეჯიაბატს შორის მონაკვეთი შეარჩია, რომელიც 3 საათსა და 15 წუთში დელფინისებური მოძრაობით გადაცურა.

გადაცურვას თვალ-ყურს ადევნებდნენ როგორც თურქეთისა და საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების ჟურნალისტები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ამგვარ რეკორდებს აღნუსხავენ და აფიქსირებენ.

ჰენრი კუპრაშვილი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს თანამშრომელი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია. დარდანელის დალაშქვრის შემდეგ მან განაცხადა, ახლა ხელფეხშეკრული ლამანშის გადაცურვაზე ვოცნებობო.

**ავთანდილ ტყვიტილი**



# კუბას ფიდელ კასტრო აძლევინებს პრეზიდენტი კაი შაბაშს გამოდის

**გერმანია** ქალ ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. პლანეტის 24 უძლიერეს ნაკრებს შვიდი ქალაქი მიიღებს. ტურნირი ამ უქმეებზე დაიწყო და მაყურებელთა ინტერესი ძალიან დიდია. საგანგებოდ საამტურნიროდ განახლებული დარბაზები თითქმის ივსება. ფინალზე დასასწრები ბილეთები კი უკვე გაყიდულია.

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რუბენ აკოსტამ განაცხადა, ეს ჩემპიონატი სანიმუშოდ უნდა ჩავატაროთო და 1 მილიონი დოლარი გამოყო, რათა მონაწილეთაგან ათ რჩეულს ას-ასი ათასი დოლარი ჩამოურიგდეს. ოღონდ ეს მსუყე ლუკმები გუნდებზე კი არა, ფრენბურთელებზე განაწილდება, რომლებიც ნომინაციებში გაიმარჯვებენ. ფრენბურთში 7 ნომინაციაა: საუკეთესო მოთამაშე, ყველაზე შედეგიანი მოთამაშე, საუკეთესო თავდამსხმელი, საუკეთესო დამბლოკავი, საუკეთესო მომწოდებელი, საუკეთესო მცველი და საუკეთესო გამთამაშებელი. დანარჩენ სამ ნომინაციას აკოსტა ჯერ არ აკონკრეტებს. გამორიცხული არ არის, მავანი ბედნიერი 100 ათასი დოლარით იმიტომ გაამდიდროს, რომ ან ტურნირის უმრწემესი, ანაც მხცოვანი მოთამაშე იყოს. სიურპრიზი ადრეც შეუთავაზებიათ მონაწილეებისთვის: 1998 წელს ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო ეკიპირებისთვის ნაკრები კი არა, ფორმის დამამზადებელი ფირმა დაუჯილდოვებიათ.

ათასობით დოლარის ჩაჯიბვამდე ჯერ შორსაა. მონაწილეებს წინ ორკვირიანი ყოველდღიური შეჯიბრი უძევთ. ტურნირის სისტემა ასეთია: 24 ნაკრები 4 ჯგუფში განაწილდა და პირველ ჯგუფურ ეტაპს ითამაშებს. მერე ჯგუფების სამ-სამი საუკეთესო ნაკრები სამ ჯგუფში გადანაწილდება და მეორე ეტაპი დაიწყება. მეოთხედფინალში პირველ-მეორეადგილოსნები და ორი უკეთესი მესამეადგილოსანი გავლენ. პლეი ოფი ბერლინში გაიმართება, ფინალი 15 სექტემბერსაა დანიშნული.

ფავორიტები კუბა, ჩინეთი, აშშ, ბრაზილია და რუსეთი არიან. ამათგან კუბას უჭირს, რაკი ტურნირამდე სამი ოლიმპიური ჩემპიონი და ერთიც საკვანძო გამთამაშებელი დაკარგა. ისინი ფრენბურთს გამოეთხოვნენ. კუბელები იმედოვნებენ, ჩვენი მწვრთნელი, ფრენბურთის ფიდელ კასტროდ ცნობილი ხორხე ეუხენიო რაღაცას მოიფიქრებსო. ჯერჯერობით ეუხენიოს მცირე ჯადოქრობა ამართლებს. აგერ პირველი ეტაპი თითქმის მიილია და კუბაც შემდეგ ეტაპზე გამსვლელებშია. დანარჩენი ფავორიტებიც მიჯრით იმარჯვებენ და საფრენბურთო „ჯუჯა" ქვეყნებს იოლად ინელებენ.



კალათბურთისა არ იყოს, ამერიკელებმა რუსთა ძლევით გაიხარეს

**ბაჩო სვანიძე**

### პირველი ეტაპი

| A ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. ბულგარეთი | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. იაპონია | 4 | 2 | 2 | 6 |
| 4. გერმანია | 4 | 2 | 2 | 6 |
| 5. ჩეხეთი | 4 | 1 | 3 | 5 |
| 6. მექსიკა | 4 | 0 | 4 | 4 |

| B ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. სამხრეთ კორეა | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. კუბა | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. რუმინეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| 4. ჰოლანდია | 4 | 2 | 2 | 6 |
| 5. კანადა | 4 | 1 | 3 | 5 |
| 6. ეგვიპტე | 4 | 0 | 4 | 4 |

| C ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. რუსეთი | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. პუერტო რიკო | 4 | 3 | 1 | 7 |
| 4. არგენტინა | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5. დომინიკი | 4 | 1 | 3 | 5 |
| 6. კენია | 4 | 0 | 4 | 4 |

| D ჯგუფი, | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩინეთი | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. ბრაზილია | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. საბერძნეთი | 4 | 3 | 1 | 7 |
| 4. პოლონეთი | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5. ტაილანდი | 4 | 1 | 3 | 5 |
| 6. ავსტრალია | 4 | 0 | 4 | 4 |

# იყიდება სიყვარულის მანქანა

**დეტროიტის** რუსი ჰოკეისტი სერგეი ფიოდოროვი კვლავ ყურადღების ცენტრშია. თავისი ყინულსმიღმა თავგადასავლებითაც, განსაკუთრებით ჩოგბურთელ ანა კურნიკოვასთან ხანგრძლივი და არცთუ იღბლიანი რომანით ცნობილი ვარსკვლავი მანქანას ყიდის, თანაც რა მანქანას — ფაქტობრივად, უხმარ თეთრ „პორშ 911 კარერას", რომელსაც აქვს ჩინებული სალონი და 530 ცხენის ძალის სიმძლავრის მოდერნიზებული ძრავი.

„თუ კილომეტრმზომს არ შეხედავთ (მანქანას 1583 მილი აქვს გავლილი), სრულიად ახალი გეგონებათ" — ირწმუნება ვინმე ტოდ შიფლერი, ვინაც იმ სალონის წარმომადგენელი გახლავთ, რომელმაც ფიოდოროვს მანქანა მიჰყიდა.

„პორში" აუქციონზე გაიყიდება, საწყისი ფასი — 100 000 დოლარია. ცნობილია, რომ მანქანის შეძენა უკვე ოთხ კაცს სურს. მყიდველი თუ მოისურვებს, ფიოდოროვი მასთან ერთად სურათს გადაიღებს, თავის ავტოგრაფსაც აჩუქებს და ზედ მაისურასაც მიაყოლებს.

ამბობენ, ეს მანქანა ფიოდოროვმა სწორედ კურნიკოვასთვის შეიძინაო, მაგრამ ახლა რა თავში იხლის, ქალი, ვაგლახ, სხვისია.

**სამველ ლარიბიანი**





ანა კურნიკოვას ფიოდოროვის სისინა „პორშს" უკანალზე შემოდებული ენრიკე იგლესიასის ხელი ურჩევნია

ეროვნული ბიბლიოთეკა





REUTERS ნიუ იორკიდან

# მათი გოგოები

ლუსი რუზეცკი, ცოლი გრეგ რუზეცკისა, კივილით აღნიშნავს ქმრის გამარჯვებას ამერიკის ღია პირველობაზე. ტომი ჰაასის მიჯნური სენდი მაიერ-ვოლდენი კი უფრო მშვიდი, თუმცა, მაინც გახარებული ჩანს.

# სამი სამზე

შანხაიში ქუჩის კალათბურთის დიდი ტურნირი მიმდინარეობს: სამი-სამზე თამაშს შეჰყოლიან ჩინელი, ჰონკონგელი, კორეელი, მალაიზიელი, ტაილანდელი, ტაივანელი, ინდონეზიელი და ფილიპინელი ქუჩის მობურთალნი. ეს პირველი ქუჩის კალათბურთის ტურნირია იმხელა ჩინეთში და სტუმარიც ცნობილი მიუწვევიათ, „გოლდენ სტეიტის“ ვარსკვლავი ანტუან ჯემისონი.




REUTERS შანხაიდან

# ნატაიფუნევს

სამხრეთ კორეის ქალაქ პუსანის სტადიონი ამასწინათ ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს მასპინძლობდა, მაგრამ ვერაგმა ტაიფუნმა, ამ ქვეყანას რომ გადაუარა, სტადიონიც დააზიანა. ქარიშხალმა და უწყვეტმა წვიმამ 13 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.



REUTERS პუსანიდან



REUTERS ჰანაუდან

# ყველაზე საპატიო

მშობლიურ ქალაქ ჰანაუში ჩასულა გერმანიის ნაკრების მწვრთნელი რუდი ფიოლერი. შენზე განთქმული და ღირსეული ვინა გვყავსო, უთქვამთ ჰანაუელებს და თავიანთი მერის, მარგარეტ ჰერტელის ხელით მისთვის ქალაქის საპატიო მოქალაქეობა უბოძებიათ.

# ოჰ!

ასეც ხდება: კანოე ყირავდება და სამი პოლონელი ნიჩბოსანი: ადამ ვინტერი, მიხალ გაიოვნიკი და რომან რინკევიჩი წყალში ცვივიან. სევილიაში კანოეთი ცურვის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს.



REUTERS სევილიიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge